ყველა ქვეყნის პროლეტარიანო, გაერთიანდეთ!

კომუნისტი

ს. ფ. ს.

ეროვნ. და თბილისის კომეტ. ბიუროს და სრულ. საძალ. მ., ბ., ფ.-ბრიგ. და მეტრიოლთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

ფასი 10,000 მან. ინფლაციაში 12,000 მან.

№ 186 სამშაბათი, 15 აგვისტო 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი

№ 186 სამშაბათი, 15 აგვისტო 1922 წ.

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის ფასი: „მუდმივი“: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მოწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ.—10 ათ. მ. ნომერელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

იმის გამო, რომ შაბათს ქალაქის აღმასკომის კვორუმი არ შესდგა

აღმასკომის სხდომა გადაიდო აგვისტოს 16-საათვის, ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგი:

1) თბილისის ქალაქის აღმასკომის მომავალი მუშაობის გეგმა.

2) სავალდებულო დადგენილების დამტკიცება, საბურთალოში პირუტყვების ძოვების აკრძალვის შესახებ.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ხუნდაძე.

კრ. 43. 2—1

საქართ. ბეჭოკვების წარმოების მუშათა კავშირის ცენტრ. საამქართველოს პრეზიდიუმი

აცხადებს, რომ 25 აგვისტოსათვის დანიშნული კავშირის

სრულიად საქართველოს მე-2 კრებება

შესდგება 17 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ცენტრ. მუშათა კლუბის შენობაში (მიხაილოვის, 123).

ყრილობის ფრაქცია შეიკრიბება 17-ს იმავე შენობაში დილის 9 საათზე.

კავშირის ცენტ. საამქართველოს პრეზიდიუმი.

№ 1460. 1—1

„გამარჯვებულთა“ განაკში

ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთათ, რომლის სიმძიმის ქვეშ გმინავს ევროპის ხალხები, როგორც დაბარცხებული, ისე „გამარჯვებული“ ქვეყნების, „საპატიო“ ადგილი უკავია, განმათავისუფლებელ ომისაგან“ ნაანდერძევ დავალიანებას ამ ქვეყნებისას ურთიერთ შორის და მათ ყველას—ამერიკის მიმართ. ამერიკა, ამ ომის დროს არასოდეს არ შერჩენია „მესამე, მაყურებლის“ როლს: არც მაშინ, როდესაც ის ფორმურალად არ იღებდა მონაწილეობას „დიდ დავაში“ და ეხმარებოდა მოკავშირე სახელმწიფოებს დიდძალი საომარი მასალის მიწოდებით და ცხადია მით უმეტეს არც იმ დროს, როდესაც ის, 1916 ში, საბოლოოთ ამოუდგა გვერდით ანტანტას და დაუშინა ცენტრალურ სახელმწიფოებს. როგორც პირველ ისე მეორე პერიოდში, მან მოხერხებულათ ისარგებლა თავისი სამრეწველო და ფინანსური მდგომარეობით იმ ზომამდე, რომ ყველა ქვეყნები, და განსაკუთრებით კი ანტანტის სახელმწიფოები, ყურებამდი ჩაფლული აღმოჩნდნენ ვალში მის მიმართ. ამ ვალის რაოდენობა განისაზღვრება საკმაო „ლამაზი“ ციფრით: ის უდრის სულ 12.000.000 000 (თორმეტ მილიარდ) ოქროს დოლარს. ყველაზე უფრო დავალიანებულია საფრანგეთი. თანაზმათ ამერიკაში მიღებული კანონისა საფრანგეთს შეიძლო მიმდინარე წლის ბოლო რეცხვამდი არ ეფიქრა ამ ვალის დაფარვის დაწყებაზე. მაგრამ ამ ვადის გათავების მოლოდინში, კიდევ იანვარში, ერთმა სენატორმა (მ. დ. ლ. მაკ კორმიკ) შეიტანა ამერიკის სენატში წინადადება, რომელიც პირდაპირ, მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ და სადაც ის მოითხოვდა, რათა დაეგალებინათ ჰუზესთვის გამოერკვია, თუ რა მდგომარეობაშია დღეს შინაური მდგომარეობა ამერიკის დებიტორების, კერძოთ ყველაზე უფრო დავალიანებული საფრანგეთის. თავის მოხსენებაში მაკ კორმიკი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფოები ასე დავალიანებული არიან ამერიკის მიმართ და ჯერ სრულებითაც არ ფიქრობენ ვალის გადახდაზე იმ მოსაზრებით, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა აწეწილ-დაწეწილია, ამ დროს ისინი შოულობენ საღსარს შეიარაღებისთვის ისეთი ენერგიით, თითქოს ისინი რამოდენიმე კვირეში ახალი ომის მოლოდინში იყვნენო.

და მართლაც თუ ავიღებთ იმ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა **საფრანგეთს** მიმდინარე საბიუჯეტო წელს და ასრულებს კიდევ მას, ჩვენ დავინახავთ, რომ მას გადადებული აქვს ჯარისთვის 3.709 345.454 ფრანკი, სახხედრო ფლოტისთვის 843 618.295 ფრ., ჰაერის ფლოტისთვის 254 652.440 ფრ. სულ საბხედრო საქმისთვის აინაირათ —4 552 963.749 ფრანკი.

ხოლო **ინგლისი** ხარჯავს ორჯერ მეტს. ფრანკებზე გადაანგარიშებ, მისი სამხედრო ბიუჯეტი უდრის 10.612.175.600 ფრანკს. აქედან ჯარისთვის გადადებულია 5 365 895.600 ფრანკი, სამხედრო ფლოტისთვის 4.288 908 000 ფრ. და ჰაერის ფლოტისთვის ცალკე 957.372 000 ფრანკი. ყველაფერი ეს ოფიციალური ცნობებია. რა ხდება სამხედრო უწყებათა ბნელ ჯურღმულებში, რამდენათ მეტია ეს ხარჯები ოფიციალურათ გამოქვეყნებულებზე—ამის თქმა არავის არ შეუძლია, რადგან ეს საიდუმლოებითაა მოცული.

ამ ცნობებმა ერთი ალიაქოთი გამოიწვია ამერიკაში. ამერიკის გადასახადების გადახდილი ამბობს: ჩვენ უკანასკნელ ტყვეს გვაძრობს სახელმწიფო, ხოლო ამერიკის ზედმეტი სიმდიდრით ახალ ომს ამზადებენ ევროპაში; ევროპის ხალხი დაღარიბდა მათი მთავრობების მიერ ახალი ომების სამზადისში, ის ძვირფასი მსყიდველი ვიღარ არის ჩვენი პროდუქტების, ჩვენი მრეწველობა ამიტომ შესუსტდა. საჭიროა ვალების ამოღება ევროპიდანო. როგორც სამრეწველო, ისე ფინანსიური წრეების და გადამხდელების ინტერესები თითქოს შეხმატკბილდნენ და ერთხმათ მოითხოვენ ევროპის სახელმწიფოებისაგან ვალების გადახდას. და ამ მდგომარეობის გამოძახილია ბალფურის ნოტაც ვალების შესახებ, რომელიც (ნოტა) იბეჭდება დღეს ჩვენ გაზეთში.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა, რადგან მას ამერიკა სთხოვს ვალების გადახდას, მიმართავს საფრანგეთს და სხვა სახელმწიფოებს, რომელთა კრედიტორი ის არის, გადაუხადონ მას მისგან აღებული ვალები. საფრანგეთი, იქვს გარეშეა თავს ნებას მისცემს, გასცეს ამაზე არსებითად იგივე პასუხი, როგორიც გასცენ ამ იქვსი თვის წინათ მისმა ხელმძღვანელმა გაზეთებმა ამერიკას მაკ კორმიკთან კამათის დროს. მათ სთქვეს: ევროპისაგან თქვენ გიკუთვნით 7 მილიარდი, ხოლო საფრანგეთს მარტო გერმანიისაგან აქვს ასაღები 12 მილიარდი დოლარი, რუსეთისაგან კი 4 მილიარდი—სულ 16 მილიარდი. დაგვეხმარეთ ხელი წაუჭიროთ ყრონეში ორივის, მიგვალებინე ეს ფული და თქვენი მაირთვითო. ასეთია მდგომარეობა „გამარჯვებულ“ ქვეყნებში.

როდესაც რევოლიუციონური სოციალისტები არწმუნებდნენ ყველას, რომ ომი დაღუპავს ევროპას, დაანგრევს მას, რომ მისი შედეგები ერთნაირათ გამანადგურებელი იქნება როგორც გამარჯვებულებისთვის, ისე დამარცხებულებისთვის, ყოველ შემთხვევაში ის დამლუპველი იქნება ორივე მხარის მშრომელი ხალხისთვისო,—ამის საპასუხოთ გამოჰქონდათ დახავსებული კატეგორიები „სამშობლოს დაცვის“ და „მილიტარიზმისაგან საბოლოოთ განთავისუფლების“ შესახებ და აუწყებდნენ შოვინიზმის ბურუსში მოხვრეხებული ხელით გახვეულ ხალხს ახალი ხანის დასაწყისს და თავისუფლებას ერებისას ამ „განმათავისუფლებელ“ ომის შედეგათ. დღეს გამოდის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი ამ ომის, მინისტრი დიდი ბრიტანეთის, და თავის საკუთარი პირით აცნობს ქვეყნიერებას, რომ ყოველივე მათი ომის იდეოლოგიიდან იყო ერთი უუდიერესი თვალთმაქცობა და ტყუილი. „ბრიტანეთის მთავრობა—ჰაიდავს ის განაცხადოს—ღრმათ დარწმუნებულია, რომ დანგრეულ დაშლილი მსოფლიო ეკონომიკის მიზეზია დღევანდელ საქმეთა მდგომარეობა ევროპაში“-ო. ე. ი. მდგომარეობა, რომელიც დავიტოვა „განმათავისუფლებელმა ომმა“. ევროპის და მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი თავის ზურგზე გრძნობს ამ დარღვევის და დაშლის გავლენას. ის თავის თვალით ხედავს ფიზიკურ თანდათან გადაშენებას, როგორც მან დაინახა ბრძოლის ველზე დაღუპული 25 მილიონი კაცი. მთელი ამ ვალების სიმძიმე ბურჟუაზიულ მთავრობებს სურთ შესდონ და შესდეს კიდევაც ზურგზე მას. მან ვერ მოახერხა—გაერდა რუსეთისა—მიეგნო გამოსავალ გზისთვის ომის დროს. ის მიაგნებს დაბოლოს ამ გამოსავალს ომის შემდეგ პერიოდში, როდესაც ევროპის დღევანდელ ბურჟუაზიულ მესვეურებს სურთ გაანგრძლივონ ის დარბევა, აწოკება და გადაშენება ხალხების, რომელსაც სხვა ფორმით, მაგრამ არსებითად ისევე როგორც დღეს და მომავალში, სურთ ამ მესვეურებს. მისი გზაა დამხობა არსებულის. მისი იარაღია გამწმენდი ცეცხლი და მახვილი რევოლიუციის.

ამ გზით „გადაბდიან“ ისინი თავის ნამდვილ გზას. ამნაირათ შეუძლიათ ბოლოთ გაუწყრდნენ ისინი როგორც ამერიკას, ისე ინგლისს, საფრანგეთს და ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. ყოველი სხვა გზა არის გზა მონური მორჩილების და ამ მორჩილებაში თანდათანი ფიზიკური და მორალური გადაშენების. ეს არ შეიძლება იყოს გზა პროლეტარიატის. და ამ საქმეში მათ უძლეველ დაბრკოლებათ ეყოლებათ დიდი საბჭოთა რესპუბლიკა—ხელმძღვანელი სოციალურათ და ეროვნულათ დამონებისათვის ხალხთა შორისძიების.

ინგლისის ნოტა ვალების შესახებ

ინგლისს ერგება 3, 4 მილიარდი ბ. სტ. ინგლისის ვალი შეერთებულ შტატებისადმი უდრის 850 მილიონ ბ. სტერლინგს.

ლონდონი. 2 აგვისტო. ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა ყველა მოკავშირე მთავრობებს ნოტით, რომელიც ეხება საერთაშორისო დავალიანების საკითხს. ამ ნოტის შინაარსი შემდეგია:

თუმცა ბრიტანეთის მთავრობას არ ჰქონდა თავდაპირველად განზრახვა აღეძრა ამ ჟამად საერთაშორისო დავალიანების საკითხი, მაგრამ უკანასკნელი ამბები არ აძლევენ მას ამ მხრივ სხვა საშუალებას. საერთო ჯამი სამხედრო ვალებისა, რომელიც ერგება დიდ ბრიტანეთს, პროკენტების ჩუთვლელათ, შეადგენს დაახლოვებით 3.400 000.000 გირვანქა სტერლინგს, რომლიდან გერმანიას მართებს 1.450.000 000 რუსეთს—650 000.000 და მოკავშირეებს 1.300 000.000. მეორე მხრივ, ინგლისს მართებს ამერიკისა—850 000.000 გირვანქა პროკენტიანად, დაწყებული 1919 წლიდან. ბრიტანეთის მთავრობა მზად იქნებოდა ხელი აღიღო ვალებზე, რომელიც ინგლისს ერგება მოკავშირეთაგან სესხის სახით, და გერმანიისაგან, ანაზღაურებათა სახით, რომ ეს იყოს პრობლემის საერთაშორისო მაშტაბით გადაჭრის საერთო გეგმის ნაწილი. მაგრამ ამერიკის მთავრობამ, რომელიც მოქმედობს თავის უდაო უფლებების მიხედვით, მოითხოვა ინგლისისაგან პროკენტების გადახდა 1919 წლიდან, ამერიკისადმი ინგლისის ვალის უზარმაზარ ოდენობის და ამ ვალის დაფარვის მიზნით 25 წლის განმავლობაში. ბრიტანეთის მთავრობა უდაოდ თვლის ასეთ მოთხოვნას ღიმზად არის გადაიხადოს თავისი ვალდებულებანი; მაგრამ სრულიად ცხადია, რომ მას არ შეუძლია ამის ჩადენა, თუ ამავე დროს არ შესცვლის თავის პოლიტიკურ კურსს, რომლის გაგრძელება მას უნდოდა სხვა პირობებში.

ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია ამერიკისადმი ინგლისის დავალიანების საკითხი განიხილოს რაგორც კერძო საქმე, რომელშიც დინტერესებული არიან მხოლოდ ინგლისი და ამერიკა, ვინაიდან ეს საკითხი დაკავშირებულია მთელ რიგ ურთიერთ ვალდებულებებთან, რომლებშიც ინგლისი გამოდის ხან როგორც კრედიტორი, ხან როგორც მოვალე. ამიტომ, რამდენად ინგლისისაგან მოითხოვენ მისი, როგორც მოვალის უდაო ვალდებულებების ასრულებას, მას, როგორც კრედიტორს არ შეუძლია უარყოს თავისი არა ნაკლებ უდავო უფლებები. ბრიტანეთის მთავრობა უალრესი უმძაფოფილებით ცვლის თავის პოლიტიკას ამ საკითხში, მაგრამ მოთხოვნათა პოლიტიკა მოვალეების მიმართ მხოლოდ მაშინაა მისაღები, როცა ის ტარდება ყველა შემთხვევაში გამოუკლებლად. ბრიტანეთის ხალხი შეიწროებულია მიტად მძიმე გადასახადებით და უუშედეგობით. ამიტომ ბრიტანეთის მთავრობა, სამწუხაროდ, იძულებულია თხოვოს საფრანგეთს და სხვა მოკავშირე მთავრობებს მიიღონ ზომები მათი სესხის, რაც შეიძლება უფრო წ რმატებითი ლიკვიდაციისათვის ინგლისში. ბრიტანეთის მთავრობა იდეალში იწადოდა საერთაშორისო დავალიანების სრული გაბათილებისაკენ. მაგრამ ვინაიდან ეს დღევანდელ მომენტში განუხორციელებელია, ბრიტანეთის მთავრობას არ სურს გამოიყენოს ეს მდგომარეობა და მძიმეს ეს ინ ინ ინ

სასურსათო გადასახადის კამპანია

თანახმად სახალხო სასურსათო კომისარიატის დავალებისა სამაზრო სასურსათო სამეულები და ალმასკომები ყოველს ზომებს იღებენ, რომ სასურსათო გადასახადი აკრებილ იქმნას მარცვლეულით და განსაკუთრებით იმ მარცვლეულით (ქერი, ქერდიკა და სხვა), რომლის მოსავლის დაბინავებაც ადრე ხდება, ვიდრე სიმინდისა და სხვა პროდუქტებისა. არა ოფიციალურ ცნობებით გლეხები გადასახადს ნატურით უფრო ხალისით იხდიან, ვიდრე ფულად, ვინაიდან ამ უკანასკნელად სოფლათ ფულის ნიშნების დიდი სიმცირეა. უკანასკნელად მიღებულ დოკუმენტალური ცნობით გადასახადის აკრების საქმე სხვადასხვა მაზრაში შეიდეგს მდგომარეობაშია:

თელავის მაზრაში საგადასახადო მუშაობა გაჩაღებულია. უკვე შეგროვილია იქ: ხორბალი—3.700 ფუთი, ლობიო—52 ფ., ქერი—63 ფუთი და კართოფილი—18 ფუთი.

თიანეთის მაზრაში შარშანდელ გადასახადის ნარჩენის აკრება წარმატებით სწარმოებს. ოფიციალური ცნობით აგვისტოს 8-მდე ნარჩენის ანგარიშში შეგროვილია: ხორბალი—71 ფუთი, ქერი—179 ფ., ერბო—36 ნახ. ფუთი, ყველი—4 ფუთი და ხორცი—130 ფ.

ბორჩალოს მაზრაში ივლისის განმავლობაში შეგროვილ იქმნა შარშანდელ გადასახადის ნარჩენის ანგარიშში: ხორბალი—3.104 ფუთი, ქერი—507 ფ., ქერდიკა—14 ფუთი, ერბო—27 ფ., ყველი—65 ფ, მატყლი—97 ფ, მსხვილფეხი საქონელი 54 სული (688 ფუთი), ცხვარი—244 სული, ღვინო—100 ვედრო და ფულად—68.000.000 მან.

გორის მაზრაში. გადასახადის შეგროვება ნორმალურად მიმდინარეობს. ადგილებიდან მიღებულ ცნობებით ზოგს რაიონში უკვე შეგროვილია შეწყვეტილ გადასახადის 80 პროცენტი.

ახალქალაქის მაზრა. როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება დეკემბერით აგვისტოს 5-ს თარიღით, მაზრაში ნიალვარმა და სეტყვამ ათს სოფელში ნათესები გააფუჭა. ზარალი დიდია და მის რაოდენობის გამოსარკვევად კომისია გაიგზავნა.

არის სასარგებლო, ვინაიდან რუსეთის გამარჯვება არის იმავე დროს გერმანიის გამარჯვებაც.

ხამი წლის თავის დღესასწაული.

ნაუენი. 12 აგვისტო (რადიო) გერმახიის ახალი რესპუბლიკანური კონსტიტუციის სამი წლის თავის დღესასწაულის დღეს არის შემდეგი ლოზუნგი: „ერთობა, სამართლიანობა და თავისუფლება“, პრეზიდენტ ებერტმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც გამოხატავს რწმენას გერმანიის საბოლოოდ გადარჩენაში, მიუხედავად სასტიკ თანამედროვე ეკონომიურ პირობებისა, შუა დღისას რეიხსტაგის შენობაში შესთდგა კრება ყველა სახელმწიფოთა, რომელნიც შედიან გერმანიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. დაესწრო პრეზიდენტი ებერტი, კანცლერი ვირტი და მთელი კაბინეთი და აგრეთვე მევრი დიპლომატი, რომელთა შორის იყვნენ ინგლისისა და იტალიის წარმომადგენელნი. პრეზიდენტ ებერტმა წარმოსთქვა მისალოცი სიტყვა.

ამერიკის პრეტენზიები.

ნაუენი. 12 აგვისტო (რადიო). კანცლერ ვირტმა და ამერიკის წარმომადგენელმა ბერლინში ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას შერეულ კომისიის დაარსების შესახებ, რომელიც განიხილავს ამერიკის ომის დროიდან პრეტენზიებს გერმანიისადმი. კომისია შესდგება სამი პირისაგან ერთი გერმანელისა და ერთი ამერიკელისაგან წარმომადგენლის და თავმჯდომარის დანიშნულებისამებრ. გერმანიის მთავრობამ სთხოვა პრეზიდენტ ებერტს დანიშნოს ამ პოსტზე ამერიკელი იმპაირი. პრეზინდენტ გარდინმა დანიშნა შეერთებულ შტატების უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ვილიამი.

გერმანიის პრესის მისალმება.

ნაუენი. 12 აგვისტო (რადიო). გერმანიის პრესა ესალმება შეთანხმებას და ამბობს, რომ ურთი ერთ ნდობის და შეთანხმების განწყობილობამ მოგვცა ეს შეთანხმებაო.

კიდევ ვალდებულებანი.

ბერლინში გადადგმულ დიპლომატიურ ნაბიჯის გამო გერმანიის მთავრობამ ვალდებულება მიიღო აძლიოს იტალიას 633,000 ტონი ნახშირი ყოველთვიურად.

ნახშირის წარმოების დაცემა გერმანიაში.

ნაუენი. 12 აგვისტო (რადიო). „ბერლინელ ტაგენბლატ“-ის აზრით მოსალოდნელია ახლო მომავალში გერმანიის ნახშირის წარმოების დაცემა. გერმანია, რომელსაც ომამდე საზღვრებიდან გაჰქონდა 34 მილ. ტონი ზედმეტი ნახშირი, ამ ჟამად დამოკიდებულია საზღვარ გარეთიდან შემოტანილ ნახშირზე.

იტალია

ახალ კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადება.

რომი. 12 აგვისტო. (რადიო) გუშინ დეპუტატთა პალატამ გამოუცხადა ნდობა ახალ კაბინეთს 247 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 123-ისა. სიტყვების წარმოთქმის შემდეგ პალატა გაშვებულ იქნა ვაკაციებზე. გაზეთები და საზოგადოებრივი აზრი სიამოვნებით აღნიშნავს სხვა და სხვა პარტიების ორატორთა სიტყვებს ზომიერ ტონს, და განმეორებულ მანიფესტაციებს არმიის, ფლოტის და მეფის საპატივცემულოდ.

მოსკოვი. 12 აგვისტო (რადიო). მთავრობის უწყებებში იტალიის უკანასკნელი ამბების შესახებ ნათქვამია: იტალიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. უკანასკნელ დროს მოხდა დიდი შეტაკებანი ფაშისტებსა და მუშებს შორის. ტრესტში, საოიაში და სხვა ქალაქებში დაწვარია კამერები. (დასასრული არ არის მიღებული).

ხერბიაში.

მოსკოვი. 12 აგვისტო (რადიო). სერბიაში მოკლეს პოლიტიკური გამო, დეპუტატი—რადიკალი ფლიმოვიჩი.

ზემო სილეზიაში.

მოსკოვი. 12 აგვისტო (რადიო). კატოვიცაში მოხდა უწესოებანი სურსათის გაძვირვების გამო.

პოლონეთი.

დომბალის პროცესის შესახებ.

მოსკოვი. 13 აგვისტო (რადიო). გაზ. „ურიერ პოლსკი“ იტყობინება, რომ დომბალმა გაასაჩივრა სასამართლოს განაჩენი. საქმე ხელ-ახლავ გაირჩევა დეკემბერში.

ირლანდია.

ირლანდიაში.

მოსკოვი. 13 აგვისტო (რადიო). ირლანდიიდან მიღებული ცნობების თანახმად ქალაქ დირვის ის ნაწილი, რომელიც მთავრობის ჯარმა დაიკავა, ცეცხლშია გახვეული. აჯანყებულთა შტაბმა მოწოდებით მიმართა რკინის გზელ მუშებს, არ აღმოუჩინონ დახმარება მთავრობის ჯარებს.

ესპანია

ფოსტა ტელეგრაფის საყოველთაო გაფიცვა.

რომი. 12 აგვისტო (რადიო). ფოსტა-ტელეგრაფის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო ესპანიაში 12 მილიონი წერილი არ გადაუციათ თავის ალაგზე. შინაგან საქმეთა მინისტრი გადადგა.

გაფიცვის შეწყვეტა.

ბორდო. 12 აგვისტო (რადიო). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და გაფიცულთა კომიტეტის თათბირის შემდეგ ფოსტის მოხელეებმა განაახლეს მუშაობა.

გერმანია

ბორდო. 12 აგვისტო (რადიო). მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი რაზმები ბერძნებისა უკან გაბრუნებულია, იტყობინებიან ახალი ძალების, განსაკუთრებით არტილერიის, მოსვლის შესახებ.

გაფიცვა გერმანიაში.

მოსკოვი. 12 აგვისტო (რადიო) გაფიცვა ფრანკფურტში ვითარდება ფიქრობენ, რომ აუცილებელია საერთო გაფიცვა. რამოდენიმე სავაჭრობი დარბეულია, დაპატიმრებულია 300 კაც.

გერმანიის პარტიათა შორის.

მოსკოვი. 12 აგვისტო (რად.). ბერლინში სხვა ბირჟების კომიტეტების საერთო კრებაზე მოხდა დიდი აურზაური კომუნისტებსა და სხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა შორის. კამათი გამოიწვია მემარჯვენე სოციალისტების წარმომადგენელის კრიუგერის წინადადებამ, ბოლგარიის კონფლიქტის საკითხის დღის წესრიგიდან გამორიცხვის შესახებ. ამ საკითხის შესახებ სიტყვა მიეცა კომუნისტ რეშელს, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა მეუმრავლესე და დამოუკიდებელ სოციალისტების ტაქტიკა და მოუწოდა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, იმუშაონ ძალების კონცენტრაციისათვის სახელმწიფოში ეკონომიური კონტროლის მოსაპოვებლად. დამოუკიდებლების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ესერების პროცესი ვითომც ხელს უშლიდეს ერთიანან პროლეტარული ფრონტის აღდგენას. კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს საკითხი პროცესის შესახებ დასვან დღრი წესრიგში სპეციალურ კრებისათვის. მიუხედავად სოციალისტების ლიდერების ენერგიული პროტესტისა წინადადება მიღებულ იქნა.

წინადადება კრების დახურვის შესახებ უარყოფილ იქნა, რის შემდეგაც სოციალისტების დელეგატთა უმრავლესობამ სხდომა დატოვა კრების ჩაშლის მიზნით.

კიდევ ზორაპნის მაზრის ცენტრის შესახებ.

გაზეთ „კომუნისტის“ 165 ნუმერში ამბ B. elli ს და 168-ში კი ხარაგოულის რაიკომის და ალმასკომის წერილები დაიბეჭდა შორაპნის მაზრის ცენტრის შესახებ, საპასუხოდ შინ. საქ. სახ. კომისარის და ვ. ტ—ძეს წერილებისა. ჩვენ ამ წერილში განზე ვსტოვებთ ავტორების საპოლემიკო ფანდებს, არ შევეხებით იმას თუ რა უფრო დააქცევს მაზრას, ვისი ინტერესები უფრო შეილახება საკითხის ასე თუ ისე გადაჭრით: ვაჭრების, წვრილი ბურჟუაზიის, თუ მუშა ხალხის. არც იმას შევეხებით, ვის უფრო ალაპარაკებს კუთხური პატრიოტიზმი. ამბ. გეგეჭკორს, თუ მოდავე მხარეთ, არც იმას სად და როგორ სწყდება ცენტრის გადატანის საკითხი, აქ თბილისში ჩუმად თუ ხალხის დაკითხვის შემდეგ, და სხვ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ კი შორაპნის მაზრის ცენტრი გახდა საჯარო საკითხად, ეს არის სწორედ შინაგან საქმეთა კომისარიატის საქმე, რომელმაც არ მოისურვა ასეთი დიდი საკითხის კაბინეტურად გადაწყვეტა და მას მისცა საზოგადო, საჯარო ხასიათი. „კომუნისტის“ № 157 ნუმერში მოხსენებული იყო ყველა ის ნაბიჯი, რომელიც გადასდგა კომისარიატმა ამ სფეროში და ადგილობრივი ელემენტების და ორგანიზაციების დაუკითხავად მას საკითხი არ გადაუჭრია. პირიქით შორაპნის მაზრის აღმასკომს დაევალა, დიახ **დაევალა**, ფარეოდ გაეცნო ეს საკითხი მაზრის მცხოვრებთათვის. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი არაა დანაშავე იმაში, თუ მაზრის აღმასკომი ამას ვერ შეასრულებს, როგორც აღნიშნავს B. elli თავის წერილში. უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ეს საკითხი ჰქონდა გადასაჭრელად მცოდნე პირთაგან შემდგარ კომისიასაც; ასე რომ ვინც ითხოვს ამ საკითხის მცოდნე პირების დახმარებით გადაწყვეტას, მას ამერიკა არ აღმოუჩენია. კომისარიატში არის საქმე № 12 შორაპნის მაზრის ცენტრის შესახებ და ამ კომისიის ერთი წევრთაგანი წინააღმდეგია მაზრის ცენტრის გადატანისა (იხ. მოხსენება ს. გორგაძის), მაგრამ იგი თხოულობს ჭიათურის სამრეწველო რაიონად გამოყოფას. ერთის სიტყვით მოპირდაპირე მხარე არ ამბობს არაფერს ისეთს, რომელიც არ იყოს ან გაკეთებული ან გათვალისწინებული შინ. საქ. სახ. კომისარიატის მიერ.

დავანებოთ თავი იმ მოსაზრებასაც რომ შინ. საქ. სახ. კომისარის წერილს შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელქვეითი ორგანოებზე და ამიტომ მას მონაწილეობა არ უნდა მიეღო დისკუსიაში. ეს დებულება არსებითად ყალბია და სრულებით არ ეგუება საბჭოთა სისტემის დედა აზრს. ამის საწინააღმდეგოა რუსეთის პრაქტიკა. მაგრამ ეს ყველაფერი სხვათა შორის.

გადავალთ იმ მოსაზრებათა გარჩევაზე, რომელიც წამოუყენებელი აქვთ ოპონენტებს სადაო საკითხის გამო. ეს მოსაზრება შემდეგია:

პირველი: ჭიათურა არაა გეოგრაფიული ცენტრი.

მეორე. თეძები ჭიათურიდან უფრო დაშორებული არიან, ვინემ ზესტაფონიდან და მცხოვრებთა უმრავლესობა უფრო ეხრობა უკანასკნელს.

მესამე: ჭიათურა საჩხერის რაიონის მცხოვრებთა რიცხვი ნაკლებია გაცილებით, ვინემ დანარჩენი სამისა.

სხვა მოსაზრება ან ვარიაციაა ამ სამის, ან განმეორება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ამ სამ მთავარ დებულებას გაუწევთ ანგარიშს. ავიღოთ დებულება.

პირველი: ამ საკითხს გადასწყვეტს შორაპნის მაზრის რუქის დათვალიერება, რასაკვირველია არც ჭიათურა და მით უმეტეს ზესტაფონი არაა „მათემატიკურად“ ცენტრი მაზრისა, მაგრამ თუ დავაკვირდებით რუქას, დავინახავთ, რომ ზესტაფონი მდებარეობს ქუთაისის მაზრის საზღვართან, და არამც და არამც არ შეიძლება იგი ჩაითვალოს გეოგრაფიულ ცენტრათ. ამას არ უნდა არავითარი მტკიცება და იგი დავას ვერ გამოიწვევს. არც ჭიათურაა ასეთი ცენტრი, მაგრამ იგი **დაახლოებით** უფროა გეოგრაფიული—ვინემ ზესტაფონი. მიუდგომელი მკითხველი აქვე დართული რუქის დათვალიერებით დარწმუნდება ამ დებულების სიმართლეში.

მეორე: თემების სიშორის შესახებ. აქ კიდევ უფრო ნათელია საკითხი. შორაპნის მაზრაში არის სულ 35 თემი (უკანასკნელი ცნობა მაზრის აღმასკომის მიერ გამოგზავნილი ა | წ. 20 ივლისს № 1165). უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ მაზრის რაიონებად დაყოფას და ამაზე თავის მოსაზრებათა აგებას ჩვენ თავი უნდა დავანებოთ, რადგან დღეს ჩვენში რაიონები არაა. ამიტომ გადავიდეთ პირდაპირ თემებზე და ვნახოთ, რომელი „ცენტრი“ უფრო იკრებს თემებს თავის გარშემო: ჭიათურა, თუ ზესტაფონი. თუ ჩვენ ავიღებთ და პირდაპირ ხაზს გაუსვამთ **თავიდან** თემიდან **ბოლლევამდე,** შემდეგ **ბოლლევიდან ამაშუკეთ ხუნევამდე** მაზრის აღმოსავლეთ საზღვრებამდე, ამ ხაზის ზევით (ჩრდილოეთისაკენ ე. ი. ჭიათურისაკენ) რჩება-18 თემი, ე. ი. **ბოლლევი, მუხარა, რგანი, ქვეკეთ უბანი, ხრეთი, ქვაციხე, კაცხი, ჩხარული, მერევი, ბერევი, წირქვალი, საჩხერე, კორბოული, არგვეთი, ლიჩი, ქორეთი, ჭალა.** (**ამაშუკეთ და ხუნევზე** ვიტყვით შემდეგ). დასახელებულ ხაზს ქვეკეთ (სამხრეთისაკენ ე. ი. ზესტაფონისაკენ) რჩება 15 თემი სახელდობრ: **ჩხარი, ზედა და ქვედა ხაზანო, თერჯოლა, ღილიკაური, საქარო, შრომა, შორაპანი, კლდეეთი, კიცხი, ძირულა, ლაშე, ხორაგოული, მოლითი, ლეღვანი,** აქედან აშკარაა თუ რომელი თემისათვის უფრო სარფაა ჭიათურა და რომლისთვის ზესტაფონი. თუ კი მანძილის მხრივ მიუდგებით საკითხს. მაშინ დავინახავთ, რომ ხაზ ზევით მოყოლილი თემებისათვის უფრო ნაკლები მანძილია ჭიათურისაკენ ვიდრე ზესტაფონისაკენ მაგალითად: ავიღოთ ყველაზე უფრო დაშორებული თემები ჭიათურიდან და შორაპნიდან. **თავას** დაშორებულია **ჭიათურას:** პირდაპირი ხაზით—16 ვერსტით, გზით კი 17—18 ვერსტი. იგივე თავასა **ზესტაფონს** დაშორებულია პირდაპირი ხაზით-18 ვერსტით, გზით კი 21—22 ვერსტით თუ გზას (საქაროზე ავიღებთ, თუ კი თერჯოლისაკენ, მაშინ ზესტაფონამდე 6—8 ვერსტით მეტია).

ავიღოთ **ლიჩი: ჭიათურამდეა** პირდაპირი ხაზით 19—20 ვერსტი, გზით კი 24—25 ვერსტი. **ზესტაფონისაკენ** პირდაპირი ხაზით 33—34 ვერსტი, გზით კი (ხუნევი, ამაშუკეთი ძირულა და ზესტაფონი) თითქმის ათი ვერსტით მეტი. დანარჩენი თემი არ გამოიწვევს არავითარ დავას, რადგან აშკარაა მათი ჭიათურასთან სიახლოვე (რასაკვირველია—ხორაგოულ ლეღვაბ მოლითი და სხვ. გარდა) მაშასადამე ის თემები, რომლებიც ჩვენ ხაზს ზევით მოვაქციეთ, უფრო ახლოა ჭიათურასთან, ვინემ ზესტაფონთან ახლა გადავიდეთ **ამაშუკეთ-ხუნევზე.** ეს ორი თემიც უფროა დიკავშირებული ჭიათურასთან ვინემ ზესტაფონთან. **ხუნევიდან** ჭიათუთამდე ძიოდა-პირი ხაზით არის 19 ვერსტი. ზესტაფონამდე კი 27 ვერსტია (ეს პირველი გახსნავევება: 8 ვერსტი) გზით კი ჭიათურამდეა 22—23 ვერსტი, ზესტაფონამდე (ამაშუკეთ-ძიოულით) 32—33 ვერსტი—გახსნავევება აქაც თვალსაჩინოა (ათიოდე ვერსტი). ხუნევიდან თუ მოლითით წავალთ, ზესტაფონისაკენ კიდევ უფრო მეტია *)

ავიღოთ **ამაშუკეთი ჭიათურამდე** პირდაპირი ხაზით არის 18 ვერსტი, საურმე გზით კი 20 ვერსტი. ზესტაფონამდე 18—19 ვერსტი, გზით კი 26—27 ვერსტი. აშკარაა, რომ უპირატესობა აქაც ჭიათურისაკენაა ამაშუკეთისათვის. ის გარემოება, რომ ამ თემების მცხოვრებთ დიდი ინტერესი აქვთ ჭიათურის წარმოებასთან, ის გარემოება, რომ გლეხობა სამუშაოთ თავისი ურმებით ჭიათურას მიდიან, და დღეს, როცა იგი (ჭიათურა) განსაკუთრებულ ყურადღების საგნად ხდება წარმოების გადიდების და მუშაობის გაძლიერების გამო, ცხადია კიდევ უფრო მეტ მშრომელ ელემენტს მიიზიდავს. რით უნდა იამაყოს ან დაიკვას ზესტაფონმა თავისი უპირატესობა ასეთ პირობებში? არაფრით გარდა ჩვეულებისა და რკინის გზის მთავარი ლიანდაგისა. მაგრამ ეს ლიანდაგი ხორაგოულშიაც გადის, მოლითშიაც და ძირულაშიაც თემების მცხოვრებნი რკინის გზის ლიანდაგზე ჩამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ან ქუთაის ფოთ ბათომ თბილისსაკენ გაემგზავრონ, ან და ადმინისტრატიულ ცენტრალურ ხელისუფლების მიმართონ. ეს უკანასკნელი გარემოება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს ზესტაფონს, რადგან იგი ხელოვნური ცენტრია. მატარებლებში ჩასაჯდომათ სრულიადაც არაა საჭირო ის გარემოება, რომ მაზრის ცენტრი უსათუოდ ზესტაფონი იყოს; საქონლის გასაგზავნადაც არაა აუცილებელი ცენტრობა. სამტრედია, ამბაშა, გომი, მცხეთა და სხ. ცენტრი არაა მაზრის, მაგრამ საქონელი დაუბრკოლებლივ იგზავნება. ესეც რომ არ იყოს, ამ საქმისთვისაც მეტი მნიშვნელობა აქვს შორაპანს, რომელიც ჯვარედინი სადგურია. ასე რომ ცენტრის გადატანა ჭიათურაში, ზესტაფონს სრულიადაც არ ხსნის რუქიდან და მაზრის მცხოვრებიდან ზესტაფონი ქალაქის ტიპის გამარტიერებულ ერთეულად ან თემად დარჩება და ადმინისტრატიული ცენტრი კი იქნება ჭიათურა ახლაც ქალაქათ აღიარებული, უფრო ლირსეული ადგილი. ერთი გარემოება მართლაც ძნელი დასაძლევია: ეს—კუთხური პატრიოტიზმი. მაგრამ აქ ეს არაა მოსატანი. ჩვენ ვიტყვით ტ ვალია ჩვენი დავიცვათ საღი, სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი და ხარაგოულ ჩხარ ამაშუკეთის „პატრიოტიზმს“, ან ჭიათურისას აგრეთვე, მაშინ მიეცემა ფასი, როცა მას საღი მოსაზრება და მაზრის, მთელი კუთხის და სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს. ის, თუ ვის ემხრობა თემების უმრავლესობა ჯერ არაა გამოკვეული. ეს გამოირკვევა მაშინ, როცა ყველა თემის მცხოვრებნი იტყვიან თავიანთ აზრს. შემდეგ ეს დაგროვილი ჯამი უნდა იქნეს აწონ-დაწონილი სათანადო ორგანოს მიერ (არ იქნება ეს მარტო შინ. საქ. სახ. კომისარიატი) და გამონახულ იქნება ის გზა, რომელიც უფრო მისაღებია ფარეთე, საღ ლეგალსაზრისით. ამრიგათ თუ კი ამაშუკეთ, ხუნევის თემების მდგომარეობასაც მივიღებთ ხმიდეველობაში, ე. ი. იმას, რომ ჭიათურა უფრო ახლოა, გზაც უკეთესი (საურმე გზები), რომ ჭიათურასთან, როგორც სამრეწველო ცენტრთან, ისინი უფრო არიან დაკავშირებული და სხ., მაშინ ჩვენ ასეთ სურათს მივიღებთ: ზესტაფონი ემარჯვება მხოლოდ 15 თემს, ჭიათურა კი 20-ს. განსხვავება დიდია. (მაგრამ ესეც რომ აო იყოს, ამაშუკეთი-ხუნევიც რომ დაუთმოთ საბოლოოდ ზესტაფონის მომხრეთ, თემთა რიცხვი ასე გაიყოფა: 17 რჩება ზესტაფონისაკენ 18 ჭიათურისაკენ.*)

ამნაირათ თუ მართლა ცენტრის ჭიათურაში გადატანა მცხოვრებთა ინტერესების აბუჩად აგდებაა შეუძლია თუ არა ივივე სთქვან ჭიათურის მომხრეებმა? რასაკვირველია შეუძლიათ და უფრო მეტი საფუძვლიანობით.

გადავიდეთ ახლა **მეხამე** დებულებაზე: მცხოვრებთა რაოდენობაზე.

1886 წლის სტატისტიკური ცნობებით **) შორაპნის მაზრაში ირიცხებოდა სულ 147,265 მცხოვრები (აქედან ჭიათურისაკენ მოქცეულ 18 თემში) მაშინ სოფლის საზოგადოებებში ირიცხებოდა დაახლოვებით —63 867 მცხოვრები: ამაშუკეთი ხუნევის თემიანა კი (13 916 სული) გამოვა 77.783. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ზევით დასახელებულ ტაბლიტიკურ ცხობებში არ იყო აღნიშნული ჭიათურის მომხრე თემებში შემავალი 22 **სოფლის** მცხოვრებთა რიცხვი. (სოფლები ნაანგარიშევია იმ სიით, რომელიც შორაპნის მაზრის აღმასკომმა გადმოგზავნა შინ. საქ სახ კომისარიატში ამა წლის 20 ივლისს № 1165).

ამ სიის მიხედვით ზევით არსებულ 20 თემში შედის სულ 135 სოფელი.

ზესტაფონის მომხრე 15 თემში იმავე სტატისტიკის ცნობით შედის 61,606 სული. ციფრის ენას არ შეუძლია უფრო ნათლად ლაპარაკი. იმავე სიის მიხედვით ამ 15 თემებში ითვლება 112 სოფელი. აქედან

*) ოროლა გზებზე გვაქვს ლაპარაკი მხედველობაში მიღებულია საურმე და საცალფეხო გზა.

*) თვით ქ. ჭიათურის აღმასკომი იქნება მე 19-ტე.

**) იხ. свод статистическим материалов населения закавказского края 1893 წ. გამოცემა.

გამოურკვეველი დარჩა 14 სოფელი (მცხოვრებთა რიცხვი, რომელიც იქნება 22 (ეროვნული ქართველ ... ლების) რაოდენობის).

მაგრამ შეიძლება სთქვან, რომ ... დაძველებული ცნობებია. ჯერ ერთი დაძველებული არის, მაგრამ იგი დაძველებულია ერთნაირად ორივე მხარისათვის.

მეორე 1917 წ. ცნობების თანახმად *). მაზრაში ირიცხება 176,446 ამ ციფრების მიხედვით, ზრდა მცხოვრებთა რაოდენობისა გამოიხატა დაახლოვებით 25 პროც. ვინაიდან ძნელია იმის გამორკვევა, თუ რომელი უფრო გაიზარდა ჭიათურის, თუ ზესტაფონის რაიონი (თუმცა სამრეწველო ცენტრი უფრო იქნება გაზრდილი) ამიტომ პროპორცია უნდა დავსტოვოთ ძველივე და გამრავლებულ ვერ შეცვლის ზევით დასახელებულ პროპორციას.

ყოველივე ამას უნდა დაეუმატოთ ის, რომ თვით ჭიათურა ორის ქალაქი და მისი მცხოვრებთა რიცხვი უფრის 2038—გარდა ამ 3,000 მუშაობასა, რომელიც მალაროებში მუშაობენ ზესტაფონისა კი 2 789 **).

დასკვნა ნათელია. ჭიათურა „ხელადებს“ ზესტაფონს.

რომ მაზრის ცენტრის საკითხი ჭიათურას სასარგებლოდ უნდა იქნეს გადაჭრილი, ამას ის ცნობაც ამტკიცებს, რომელიც მოთავსებულია გაზ. „კომუნისტის“ 173 ნომერში. შორაპნის თემების აღმასკომის წარმომადგენელთა კონფერენციის ხმის უმეტესობით დაუდგენიათ ცენტრის ჭიათურაში გადატანა. მართალია რა დაქცია შენიშვნას უკეთებს, რომ 21 თემიდან ხორაგოულ ჩხარ-ზესტაფონის რაიონიდან მხოლოდ 8 თემმა დაეწროვო, მაგრამ კონფერენციის ოქმი ალბათ ამ საკითხს უფრო ადვილათ გაიშუქებს.***)

დასასრულ ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა: ჭიათურა არის დიდი მომავალის მქონე რაიონი; იგი დღითი-დღე ვირარდება, იზრდება მისი მნიშვნელობა, საჩხერის რაიონი მდიდარია ტყეებით ტ ჭალის ნავთის საქმის სიმძიმის სასწორს ხრის ჭიათურისაკენ. ზესტაფონი? მისი ზრდა ძალიან საეჭვოა, იგი არავითარი მომავალის მქონე არაა და მხოლოდ მატარებლების დასასვენებელ სადგურად არის გადაქცეული. რისთვის ან რით უნდა ძიზიდოს მან მაზრა? მხოლოდ ხელოვნურად იქ დაწესებული ადმინისტრატიული ცენტრით და ამისათვის კი ღირს ჭიათურის ინტერესების დაკარგვა? ამასთან ზედმოთ ხსენებულ ხაზს ზევით და ხაზს ქვევით ტერიტორიათა სავრცე სრულიადაც არ ლაპარაკობს ზესტაფონის მომხრეთა სასარგებლოდ. თუ გავზომავთ თემების მიხედვით და არა რაიონებისა, რომელიც არ არსებობენ, აშკარა გახდება, რომ სავრცე ჭიათურისაზე უფრო მეტია ვინემ ზესტაფონისაკენ.

მაშ რაშია სიქმე? მხოლოდ შეჩვევა და კუთხურ პატრიოტიზმში. მაგრამ ასეთ საკითხში არგუმენტებთან არ გამოდგება არა ერთი და არც მეორე. ამ საკითხის დროს იმის მოტანა საკამათოთ, რომ რაკი მუშურ ცენტრზეა ლაპარაკი, მაშ ქუთაისის მაგიერ ცენტრად ტყიბული აღვიაროთ, ეს არის საკითხის ბაზზე აგდება: ჯერ ერთი—ჭიათურა ტყიბული, და ზესტაფონ-ქუთაისი ერთი და იგივე არაა ქუთაისი მუშური ცენტრიც არის, პოლიტიკურიც, ეკონომიურიც, კულტურულიც და გეოგრაფიულიც მაზრისათვის. ტყიბული კი? უპასუხოს ამ საკითხს მოპირდაპირემ. ამასთან ქუთაისში ითვლება რამდენიმე ათი ათასი მცხოვრები. ტყიბულში?.. მაგრამ ამ საპოლემიკო ხერხის შესახებ კამათი არაა საჭირო.

აქედან ცხადია, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, რომ კომუნისტის №157 მოთავსებული წერილის არც ერთი დებულება ჯერ არაა დარღვეული.

იქნებ წამოიჭრას საკითხი მაზრის რელიეფის შესახებ. უნდა ითქვას, რომ შორაპნის მაზრა საერთოდ ბორგორიანი ადგილია და ვაკეა მხოლოდ მისი სამხრეთი ნაწილი. სადაო თემებისათვის არსებითად სულერთია ზესტაფონისაკენ ექნება დალმართი, თუ შინ დაბრუნების დროს. ის ვინც ზესტაფონში ჩადის და ხელს უწყობს დალმართი, უკან დაბრუნებისას აღმართზე ადის, ის ვინც ჭიათურაში მიდის და აღმართი უნდა გადაიაროს, დაბრუნებისას დალმა ჩამოდის ხოლმე. რუქაზე აშკარადაა გამარტული ის გზები, საურმე გზები, რომლებიც ყველა თემს ჭიათურასთან აერთებს. და წარმოიდგინეთ მანძილის მხრივ, ჩხარიც კი უფრო ახლოა ჭიათურასთან, ვინემ ზესტაფონთან.

ამას გარდა უდაოა ის გარემოება, რომ ხარაგოულ, ჩხარ-ზესტაფონისათვის (რკინის გზებზე თუ იქნება ლაპარაკი) უფრო ადვილია ჭიათურაში ჩასვლა, ვინემ იმ თემებისათვის, რომლებიც ჭიათურის და განსაკუთრებით საჩხერეს ჩრდილოეთით არიან.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება და არ გვგონია, თუ საკითხს მივუდგებით sine ira et studio. რომ ჭიათურამ ვერ გასწიოს „სარღლობა“ ოფიციალურად, როცა იგი ფაქტიური ოარდალია მთელი კუთხისა.

ინფორმატორი.

*) იხ. მთ. სტატ. სამ. ბიულეტენი მარტი და აპრილის. 1922 წლ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის რაოდენობის რიცხვი, მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება იქნას გამოანგარიშებული.

**) ეს უკანასკნელი ცნობა მიღებულია რეს. მილიციის საინსპექტორო ნაწილიდან.

***) ჩვენ ვემყარებოდით იმ ცნობებს, რომლებიც მივიღეთ ხარაგოულელ ამხანაგებისაგან და **დავსძენდით, რომ საჭიროა ამ საკითხის გამორკვევა.** ავტორი დაგვეთანხმება, ვფიქრობენ, რომ მის შენიშვნას, შეიძლება ფორმალურათ მართალსაც, იმის შესახებ, რომ კონფერენციის ოქმი ალბათ უფრო ადვილათ გააშუქებს ამ საკითხსო, სამწუხაროთ არაფერი შეაქვს ახალი მის გამორკვევაში.

რედ.

ქრონიკა

◆ **კამოს სახელმწიფოს საბავშო ხალის ფონდი.** ტფილისის აღმასკომის სალარაოში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი ამხ. კამოს სახელმწიფოს ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად 9 აგვისტოს სახელმწიფო ქალაღდების დამზადებელ ექსპედიციის მუშა - მოსამსახურეთაგან 4,465.000 მან.

◆ **პროფესორ ს. ლ. ავალიანის დასაფლავებას,** რომელიც მოხდა კვირას, დაესწრო მრავალი ხალხი. ცხედარის ქვაშეთის ეკლესიიდან გამოსვენების შემდეგ პროცესია გაეშართა რუსთაველის პროსპექტით. პოლიტეხნიკუმის შენობასთან სასოფლო-მეურნეობის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. ნავალიხა წარმოსთქვა სიტყვა. დასაფლავება მოხდა ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა). სამარესთან წარმოსთქვეს მრავალი სიტყვები, რომელშიც ორატორები აღნიშნავდენ გასვენებულის ღვაწლს. უმაღლესი განათლების სფეროში და მის გულშემატკივრობას მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ.

◆ **აღ. საქ. რევტრიბუნალი.** ა. წ. 18 აგვისტოს აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის სესიის სხდომა მიეკვლინება ქ. გორში საქმეების გასარჩევათ სადაც დაჭყობს ა. წ. 20 აგვისტომდი.

◆ **მიწის ძვრა.** საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ 13 აგვისტოს დილის 3 საათზე (ადგილობრივ დროთი). აღნიშნულია უძლიერესი მიწის ძვრა ტფილისიდან 1700 კილომეტრის მანძილზე. მიმართულება გაურკვეველია. ალბათ განმეორება 11 აგვისტოს ყოფილ მიწის ძვრისა.

საქართ. სახ. კომისართა საბჭოში

◆ **კრედიტები სამაზრო აღმასკომებს.** სამაზრო სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის გაყოფილების ვალების დასაფარავად სახალხო კომისართა საბჭომ გაუხსნა კრედიტები შემდეგ სამაზრო აღმასკომებს:

აჭარის აღმასკომს—2.000.000.000 მ. გორის აღმასკომს—446.000.000 მ., ახალქალაქის აღმ.—245.000.000 მ., ახალციხის აღმასკ.—246.000,000 მ. დუშეთის აღმასკომს—178.000.000 მ., ლეჩხუმის აღმასკომს—278.000.000 მ., ოზურგეთის აღმასკ.—855.000.000 მ., სენაკის აღმასკომს—820.000.000 მ., ბორჩალოს აღმასკ.—261.000.000 მ., ზუგდიდის აღმასკ.—715.000.000 მ., ქუთაისის აღმასკ.—1.414.000.000 მ., ფოთის აღმასკომს—192.000.000 მ., რაჭის აღმასკომს—396.000.000 მ., სვანეთის აღმასკომს— 37.000.000 მ., თელავის აღმასკომს—399.000.000 მ., თბილისის აღმასკ.—260.000.000 მ., სიღნაღის აღმასკომს— 679.000.000 მ., თიანეთის აღმასკ.—115.000.000 მ., შორაპნის აღმასკომს—861.000.000 მ., სამხრ.-ოსეთის აღმ.—301.000.000 მ., ჭიათურის აღმასკომს— 55.000.000 მ., ლანჩხუთის აღმასკ.—138.000.000 მ., ბორჯომის აღმასკომს—76.000.000 მ., ხაშურის აღმასკომს—200.000.000 მ., საირის აღმასკომს—270.000.000 მ.,

◆ **ანგარიშების წარმოდგენა.** სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სამეურნეო სახ. კომისარიატებს წარმოუდგინოს საქართველოს უმაღლეს ეკონომურ საბჭოს ვრცელი მოხსენება კომისარიატების მოღვაწეობის და საერთოდ მათი მდგომარეობის შესახებ, და აგრეთვე მომავალშიაც წარმოუდგინონ ასეთები ყოველ თვიურად.

◆ **სახ. განათლების კომისარიატის შუამდგომლობა.** სახ. განათლების კომისარიატის მიერ აღძრულია შუამდგომლობა სახ. კომისარიატის საბჭოს წინაშე 3.000.000.000 მანეთის სესხის მიცემის შესახებ, მომავალ სამოსწავლო წლისათვის სამოსწავლო ნივთების დასამზადებლად. სახ. განათლების კომისარიატი დაუბრუნებს აღნიშნულ სესხს სახელმწიფო ბანინაში მიმდინარე წლის უკანასკნელ თვეებში დამხადილ სახელმძღვანელოების რეალიზაციის შემდეგ.

◆ **დეკრეტის პროექტი.** იუსტიციის სახ. კომისარიატმა შეიტყვა და წარუდგინა სახ. კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დეკრეტის პროექტი ბინებიდან მცხოვრებთა თვითნებობით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გადასახლებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. პროექტის თანახმად თანამდებობის პირნი, რომელნიც დანაშაულნი იქნებიან მცხოვრებთა თვითნებობით გადასახლებაში დაისჯებიან სასამართლოს მიერ, ხოლო მუშების და მოსამსახურეების გადასახლებისათვის თანამდებობის პირნი დასჯილი იქნებიან 6 თვის დაპატიმრებით ან თანამდებობიდან გადაყენებით, ხოლო კერძო პირნი 6 თვის იძულებითი სამუშაოზე გაგზავნით ან 300 მან. (ოქროთი) დაჯარიმებით.

◆ **კახეთის რკინის გზა** ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველო შუამდგომლობს საქარ. და სახ. კომისართა საბჭოს წინაშე რესპუბლიკის ხარჯზე, მისთვის 31.250 შპალის მიცემის შესახებ, კახეთის რკინის გზის საჭიროებისათვის, რის სამაგიეროდ სამმართველო აღუთქვამს დაიწესოს საქონლის გადატანაზე შეღავათიანი ტარიფი აღნიშნულ შპალების საფასურის კვალობაზე.

კოოპერაცია

წესები.

კოოპერატივთა რეგისტრაციისა.

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საკოოპერაციო საქმეთა მმართველობის შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ დებულების მე-3 ე მუხლის თანახმად იცემა შემდები წესები კოოპერატიულ ორგანიზაციათა რეგისტრაციისათვის.

1. რეგისტრაცია მომხმარებელ საზოგადოებათა, სასოფლო-სამეურნეო არტელთა, ამხანაგობათა, და ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციათა სწარმოებს მხოლოდ კოოპერატიულ სამმართველოს მიერ.

2. არც ერთ კოოპერატივს არ შეუძლიან დაიწყოს თავისი მოქმედება მანამ, სანამ არ მიიღებს კოოპერატიულ სამმართველოდან დამტკიცებულ წესდების ერთ ცალს.

3. რეგისტრაციისათვის საჭიროა წარდგენა დამაოსებელთაგან კოოპერატიულ სამმართველოში წესდების სამი ცალისა, ხელმოწერილ არა ნაკლებ სამი პირისა; აგრეთვე დამაარსებელთა სია, დადასტურებული აღმასკომის ან სხვა რომელიმე ადმინისტრატიულ დაწესებულების მიერ.

შენიშვნა: სოფლად სამომხმარებლო საზოგადოებათა ორგანიზაციისათვის ინიციატორ-დამაარსებელთა ჯგუფის რიცხვი უნდა უდრიდეს არა ნაკლებ 25-სა; ქალაქში სამომხმარებლო კოოპერატივისათვის კი არა ნაკლებ 100 სა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო, შინამრეწველობის ამხანაგობათა და არტელთა ორგანიზაციისათვის რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ შვიდისა.

4. თუ წესდება არ წარმოადგენს სანიმუშო წესდებას, შუამდგომლობას რეგისტრაციის შესახებ თან უნდა ერთოდეს ცეკავშირის სეკრეტარიატის ან მუშათა კოოპერატივის სექციის დასკვნა წესდების არსების შესახებ.

5. დღიდან კოოპერატიულ სამმართველოში წესდების შეტანისა ერთი თვის განმავლობაში კოოპერატიული სამმართველოს ან შეაქვს რეესტრში წესდება ან და გამოაქვს დასაბუთებული საწინააღმდეგო განმარტება.

6. თუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან წესდების შეტანისა არ იქნება გამოტანილი დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან უარის ყოფა რეგისტრაციისა, კოოპერატივი ითვლება რეგისტრაციაში გატარებულად.

7. წესდების სარეგისტრაციოდ წარდგენის დროს შეტანილი უნდა იქნეს სარეგისტრაციო გადასახადი დაწყებით კოოპერატივთათვის ათი მანეთი ოქროთი (10), გამაერთებელ კავშირთათვის 30 და 50 მანეთი, აგრეთვე გადახდილი უნდა იქნეს საპუბლიკაციო გადასახადი.

8. ცვლილებანი, რომელიც შეტანილი იქნება წესდებაში, რეგისტრაციაში გატარებულ საზოგადოებათა, ამხანაგობათა და არტელთა მიერ, დამტკიცებისათვის სარეგისტრაციო გადასახადი არ სჭირია.

9. კოოპერატიულ კავშირებისათვის სავალდებულოა იგივე წესები, რაც პირველ დაწყებითი კოოპერატივთათვის.

10. კავშირთა ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის და დამტკიცებისათვის საჭიროა მონაწილეობა არა ნაკლებ ხუთი პირველდაწყებითი კოოპერატივისა.

11. კავშირების წესდების რეგისტრაციისათვის საჭიროა თანდართვა წესდების ასლისა იმ პირველდაწყებითი კოოპერატივთა, რომელთაც ხელი მოაწერეს კავშირის წესდებას, აღნიშვნით იმ №-სა, რომლითაც მათი წესდება გატარებული იყო რეესტრში.

12. ზემოაღნიშნული წესდება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

კოოპერატიულ კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე: **ვ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველის მაგიერ **გ. ზვერავა.**

საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

თანახმად დებულებისა კოოპერაციის საქმეთა მმართველობის შესახებ, ამ უკანასკნელს ეკუთვნის როგორც საკანონმდებლო, ისე საერთო ხელმძღვანელობის უფლება კოოპერაციის აღმშენებლობის სფეროში. მაგრამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ქალაქ თბილისში ეჰბრევა სტიქიური ზრდა, როგორც ზვრილ მოხმარებელ საზოგადოებათა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და შინა მრეწველობის არტელთა, რომლებმაც კოოპერატიულ საქმეთა მმართველობის დაუკითხავად და მის უსანქციოთ შეუდგეს მოქმედებას.

კოლეგია კოოპერატიულ სამმართველოს იხილავს რა ათეულ რიგ მასალებისას ასეთ ორგანიზაციების შესახებ და ითვალისწინებს რა ასეთი ცრუ კოოპერატიულ ორგანიზაციების მავნებლობას, ადგენს:

1. ყველა ის კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც არ გატარებულან რეგისტრაციაში კოოპერატიულ სამმართველოს, ან ყოფილ საოლქო სასამართლოს მიერ, ვალდებულნი არიან დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინონ კოოპერატიულ სამმართველოში რეგისტრაციისათვის წესდება სამ ცალად.

2. კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში სხვა კოოპერატიულ ცენტრების ან სახალხო კომისარიატების მიერ ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კოოპერატიულ სამმართველოში წესდება სარეგისტრაციოთ საერთო წესის მიხედვით.

3. კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა არ წარმოადგენენ წესდებას კოოპერატიულ საქმეთა სამმართველოში რეგისტრაციისათვის, ვალდებულნი არიან შესწყვიტონ მოქმედება.

4. ყველა არტელები, ამხანაგობები და სხვა კერძო სავაჭრო კომპანიები, რომლებიც მოწყობილი არიან არა კოოპერატიულ ნიადაგზე და არ გატარებულან რეგისტრაციაში, კოოპერატიულ სახელწოდების მითვისებისათვის იქნებიან მიცემული პასუხისგებაში.

5. ერთი თვის განვლის შემდეგ დღიდან ამ განკარგულების გამოქვეყნებისა ადგილობრივ აღმასკომებს ცეკავშირის და მუშკომებს არსებულ აპარატებთან ერთად ევალებათ კონტროლი კოოპერატიულ ორგანიზაციებისა და ამ სავალდებულო დადგენილების განხორციელებისათვის მეთვალყურეობის გაწევა.

კოოპერატიულ კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე: **ვ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართველის მაგიერ: **ვ. ზვერავა.**

(2—2)

პროფკავშირებში

სრულიად საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს მუშა-მოსამსახურეთა მე-2 ყრილობა.

(გაგრძელება იხ. „კომ." № 181, 183).

ყრილობის მეოთხე სხდომა 7 აგვისტო.

თავმჯდომარეობს ამხ. ილიკო ჭელიძე.

წაკითხულ იქნა მისასალმებელი დეპეშები ქუთაისიდან, ბათუმიდან და სუხუმიდან.

სიტყვა ეძლევა ამხ. მარკარიანცს, ამიერ კავკასიის სახკომფოსტელის გაერთიანების შესახებ, რომელიც აღნიშნავს, რომ პოლიტიკური, ეკონომიური, ფინანსიური, სამხედრო და სხვა თვალსაზრისით აუცილებელია გაერთიანება, რომ მზათ ვიყოთ მთლიანი შეკავშირებული ძალებით კონტრ-რევოლიუციის დასამარცხებლად და საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლად. ჩვენ, ამბობს ის, თებერვლის თვეში გვქონდა წინასწარი თათბირი სამივე რესპუბლიკების: საქართველოსი, აღერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებიხ ცეკის წარმომადგენელებთან, ამიერ-კავკასიის სახკომფოსტელის გაერთიანებისათვის წინასწარი გეგმების გამოსამუშავებლად, მაგრამ ეს საკითხი მოუგვარებელი დარჩა ამ.ხ. ბეგზადიანის წასვლის ზამო; ამიტომ ხელახლად წამოიჭრა საკითხი სახკომფოსტელის გაერთიანებისა; გაერთიანებულ ცენტრს ეყოლება რწმუნებულები ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ფარგლებში, მხოლოდ მათ არ ექნებათ სახკომფოსტელის უფლებები. მარკარიანის მოხსენების შემდეგ ყრილობა მოითხოვს სიტყვა მიეცეს საქართველოს ფოსტელ სახკომს ამხ. ყამარაულს და გაიხსნას კამათი ამ საკითხის გარშემო, მაგრამ მარკარიანი აცხადებს, რომ მის მოხსენებას ქონდა ინფორმაციული ხასიათი, და ამაზე კამათი საჭირო არ არის. მარკარიანცის წინადადებით სხდომას თავმჯდომარე აცხადებს 10—წუთით შეწყვეტილად, რის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ რადგან მარკარიანცის მოხსენება დღის წესრიგში არ მდგარა და მხოლოდ მას ქონდა იმფორმაციული ხასიათი, მოითხოვს ყრილობა გადავიდეს მორიგ საკითხზე.

კენჭის ყრის შემდეგ ხმის უმეტესობით საკითხი მოხსნილი იქნა.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ფირალოვის მოხსენება სატარიფო და საფონდო საკითხის შესახებ, რომელიც ვრცლად და შინაარსიანათ უნმარტავს ყრილობას სატარიფო პოლიტიკის მუშაობას, რის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება ამხ. ფირალოვისა სატარიფო საკითხის შესახებ, ყრილობას მიზან შეწონილათ მიაჩნია სატარიფო პოლიტიკა თავისი კოლექტიური ხელშეკრულებით და შეაქვს უკანასკნელი შემდეგი შესწორებები: 1) მუშა მოსამსახურეთა კატეგორიებით აღმატება, ან დაქვეითება ხდებოდეს ადგილობრივათ მუშკომის და შემფასებელ კომისიის მიერ და იმ დღიდანვე ტარდებოდეს ცხოვრებაში, ხოლოდ ცნობისათვის ეგზავნებოდეს ც. გ ას. 2) ზედმეტი საათების, დღიურების მივლინების, სარგოს ნუსხები მტკიცდებოდეს ადგილობრივათ მუშკომების მიერ, არსებულ კანონების მიხედვით და ტარდებოდეს ცხოვრებაში, რის შემდეგ იგზავნება ცენტრში.

შენიშვნა: ზემო ხსენებულ ნუსხებს ამტკიცებს ადგილობრივი ინსპექცია. 3) შეტანილი იქნას დამატებით კოლექტიურ ხელშეკრულებაში მუხლი, რომლიცათ მუშა მოსამსახურეებს მიეცეს ჯამაგირის მომატების უპირატესობა იმ ადგილებში, სადაც მძიმე პირობებია, ჰაერის თუ მუშაობის მხრივ. 4) შეტანილ იქნას დამატებით მუხლი 1 პროც. კავშირში შეტანის შესახებ კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად.

კულტურულ განმანათლებელ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბერძენიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ უსახსრობის ვამო მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა კულტგანყოფილებას მუშაობა. არკვევს აგიციული ხასიათი, მოითხოვს ყრილობა გადავიდეს მორიგ საკითხზე.

ყრილობის მე-5 სხდომა, 7 აგვისტო. სხდომას ხსნის ამხ. ჭელიძე

ორგანიზაციული საკითხის შესახებ სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელს ამხ. ხიტაროვს.

მომხსენებელი ეხება თუ როგორ შეიცვალა პროფკავშირთა ამოცანები განსაკუთრებით ორგანიზაციულ საკითხში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებით. საჭიროა პროფმუშაობა იქნას გატარებული პერიფერიებში, მასაში და უნდა იქნეს გატარებული ლოზუნგი „ახლოს მასასთან". აუცილებელია მიიღოს მასამ მხურვალე მონაწილეობა პროფმოძრაობაში. ლოზუნგი „ახლოს მასასთან" ჯერ-ჯერობით არ გატარებულა ცხოვრებაში და იმედს გამოსთქვამს, რომ ყრილობა ამას მიაქცევს ყურადღებას. საჭიროა კავშირის წევრების გაწმენდა ზვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან. სამაზრო მუშკომები უნდა იქნეს დაკავშირებული სამაზრო პროფბიუროებთან, ცენტრალური გამგეობები მეტი ძალა-უფლებით სარგებლობენ ვიდრე სამაზრო პროფბიუროები, და გამგეობის დადგენილებები არ შეუძლია დაარღვიოს პროფბიუროს გამგეობის დაუკითხავად. შემდეგ იქნა მიღებული თეზისები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ახალმაც გამგეობამ.

ქალთა შორის მუშაობის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. ალექსანდროვას. იგი ეხება ქალთა მდგომარეობას დაწესებულებებში და მოითხოვს მის გაუმჯობესებას. აგრერვე მოკლედ აღნიშნავს, თუ როგორ ეწეოდენ ქალები ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნებში რეთვე ბურჟუაზიულ და პროლეტარულ კულტურის ურთიერთობას და დასძენს, რომ მხოლოდ კულტურული მუშაობით შეიძლება მასის გათვითცნობიერება, რომელიც ხელს შეუწყობს საბჭოების აპარატის განმტკიცებას.

სხდომა დაიხურა დღის 3 საათზე.

ყრილობის მე-6 სხდომა, 7 აგვისტო. სხდომას ხსნის ამხ. ჭელიძე

ორგანიზაციული საკითხის შესახებ სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელს ამხ. ხიტაროვს.

მომხსენებელი ეხება ცის მანანასავით მოუსწორო და გამოიყვანა საერთო ეკონომიურ კრიზისიდან. სიმინდის მოსავალი, როგორც ეხლა ნიშნებია, კარგი უნდა იქნეს, რადგან შარშან ამ დროის სიმინდები იმარგლებოდა, ეხლა კი ტაროშია—ალაგ-ალაგ ჭყინტი სიმინდებიც არის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ხალხი შედარებით იოლათ გადურჩა იმ შილს. პროვოკატორებსაც ეცლებათ ხელიდან ერთი სადემაგოგიო მასალა და ჩვენ დარწმუნებული ვართ ისინი სამუდამოთ დაკარგავენ გავლენას ფართო მასაში. მხოლოდ აღსანიშნავია ერთი: რომ სოფლის ბობოლა გლეხებმა, შეხედეს რა ღარიბ ხალხის უმწეო მდგომარეობას, აძლევენ სიმინდს თუ ხორბალს, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მოსავალზე ფუთში ორი ფუთი და მეტიც დაებრუნებიათ. თანახმად ცენტრალური მთავრობის მიერ გამოცემულ განკარგულებისა საჭიროა ასეთი მევახშეობის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება.

სამტრედიის ქალაქის აღმასკომი უკვე შეუდგა გზების გაჭრა-შეკეთებას. ერთი თვეა შეუდგნენ მუშაობას, ხალხი ძლიერ გახარებულია და ყველა სიამოვნებით გადის სამუშაოზე...

ავათმყოფობა მთელს რაიონში ძლიერ მოდუნებულია, განსაკუთრებით ციებ-ცხელება, ქალაქის აფთიაქში (საბჭოთა) წამლეულობა ბევრი არ

მუშათა ცხოვრება

შეშის კამპანიისათვის

ზამთარი მოახლოვდა და შეშის კამპანიისათვის დაფიქრება გვმართებს. წელს ამ კამპანიის შესახებ არაფერი ისმის. მიუცილებელია ამ კომპანიაზე აქედანვე შეუდგეთ ფიქრს და ზრუნვას. საქმე შარშანდელის მზგავსათ უნდა მოეწყოს. ყოველ კავშირს უნდა დაეთმოს ტყის განსაზღვრული სივრცე შეშისათვის. კავშირმა იქ შეშა ან თავის საკუთარ ძალებით, თუ ეს წარმოებისათვის მოსახერხებელია, და ან დაქირავებულ ძალებით უნდა დაამზადოს.

ვიმეორებ, თუ ამ საქმეზე აქედანვე არ ვიფიქრებთ, ზამთარში უშეშოთ დავრჩებით. თუ არა ამ გზით, ისე ჩვენ ბევრს ბევრი კერძო მაზარზე გაგვიჭირდება. საჭიროა ამ საკითხს თვით კავშირები და პროფმოძრაობის უმაღლესი ორგანო ს. პ. კ. ს. დროით დააყენებდეს მორიგ საკითხად.

ფ. კ.—ლი.

„მირის" თამგაკრის ფაბრიკაში

სულ მუშაობს 79 მუშა. უნდა ითქვას, რომ ფაბრიკაში ძალიან ერთ სულოვანი და ხაყოფიერი მუშაობა სწარმოებს. საბოტაჟს და ცუდლუტებას იქ ადგილი არა აქვს. ადმინისტრაციას და მუშებს შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს, უპარტიოთ მუშებს და კომუნისტებს შორის სრული სიყვარულია. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ როცა რაიმე არჩევნებია, უპარტიოსნ მუდამ კომუნისტების კანდიდატებს აყენებენ. ფაბრიკაში არია კულტკომისია, რომელიც ხელმძღვანელობს წერა-კითხვის უცოდინარობას სალიკვიდაციო სასწავლებელს, ყავს დაქირავებული საუკეთესო მასწავლებელი რომელმაც ამ დღეებში დასრულებინა სწავლა 10 მოსწავლეს, კულტკომისია მუდმივათ ავრცელებს ჟურნალ-გაზეთებს და ბროშურებს მუშათა შორის. ფაბრიკას ჰყავს თავისი მუშა დეპუტატი ქალაქის საბჭოში.

საერთოთ „მირის" ფაბრიკის მუშები სამაგალითონი არიან თავიანთი მოქმედებით, ბევრ თავიანთ ამხანაგებს და სხვებს რომლებიც შტატგარეთ დარჩენ, ეხმარებიან ფულით. ამ დღეებში ეროსულოვნათ მოაგროვეს ფაბრიკაში 9,332,000 მ. ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდისთვის. „მირის" ფაბრიკის მუშებს კარგათ აქვთ შეგნებული, რომ საერთო საქმის გაკეთება შეიძლება მხოლოთ საერთო ძალით, და ისინიც ამ გზას მისდევენ.

ბ. მათიევი.

ტკბილეულოგის ქარხანა

საბჭოს ეუჩაზე № 2 არსებობას დავიდოვის ტკბილეულობის ქარხანა. ეს ქარხანა სახელოსნო მოთავსებულია ერთ პატარა ვიწრო სამზარეულოში. კედლები ძალზე გაჭუჭყიანებულია. აქვე ინახება ყველაფერი: ნახშირი, ბურსათი და სხვა. დავიდოვს ფიქრადაც არ მოდის რომ ყოველივე ეს შრომის კანონების დარღვევაა და ასეთ პირობებში მუშაობა მძიმე და აუტანელია. კარგი იქნება შრომის დაცვის ორგანოები აგრძნობიებდეს მას, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შრომის ასეთი ექსპლოატაცია სასტიკათ ისჯება.

პ—ძე.

გუშპოკის უინულის ქარხანა

ეს ქარხანა ამ რამოდენიმე ხნის წინათ იჯარით აიღო ნევიატსკიმ და ხუსმანმა. ეს ვაჭბატონები სრულებით არ გვაძლევენ იმას რაც კანონით გვეკუთვნება. სპეც ტანისამოსს, რომელიც ასეთ ქარხანაში მუშაობისათვის მიუცილებელია, მოკლებული ვართ. შრომის ინსპექტორმა ეს რამდენჯერმე შენიშნა, მაგრამ მოიჯარადრეები მის შესრულებას არ ფიქრობენ.

ისედაც ცუდ პირობებში გვიხდება მუშაობა. შენობა ვიწრო და გაჭუჭყიანებულია. ნუ თუ მოიჯარადრეებს ბუშკოპთან დადებულ პირობაში უწერიათ მუშის შრომის უზომო ექსპლოატაცია.

კ. ჰ.

მურაგეგის სახელოსნო

ამ სახელოსნოში ვმუშაობთ 12 მამაკაცი და 6 დედაკაცი. სახელოსნოში ხზადდება სხვადასხვა ხილისგან მურაბა. სახელოსნოს შენობა ზაფხულში მუშაობისათვის გვარიანათ მოწყობილია. მაგრამ, ზამთარშიაც რომ გაგრძელდეს მუშაობა, სჭირია ცოტა რამ შეკეთება. სასურველია ამაზე აქედანვე იზრუნენდენ. ზამთარი მომავალია და ამ მხრივ შენობის შეკეთებას რომ შეუდგნენ დროა.

მომუშავე.

„ნაჩაი"

„ნაჩაი" შრომის ხელფასის მათხოვრული დამამცირებელი ფორმაა და მუშის ღირსებისათვის ყოვლად მიუღებელი. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში პროფმოძრაობამ აღიკვეთა შრომის ხელფასის ასეთი ფორმა: მაგრამ, როგორც სჩანს, მას ზოგგან კვლავ აქვს გასავალი. საბჭოთა საპარიკმახეროში ტანისამოსს ყავს დარაჯი. მართალია სავალდებულო არაა და ზოგი აძლევს და ზოგი არა ამ დარაჯს „ნაჩაის", მაგრამ ზოგისგან დაჩვეული ყველას თვალებში შემოგჩერებია, როდის მომცემსო. ეს უეჭველად უნდა აღიკვეთოს და იქ, სადაც ყარაული სდგას, დიდი ასოებით უნდა მიეწეროს: ყოველგვარი „ნა ჩაი" აკრძალულია — ყარაულის შრომის ხელფასი გაპარსვის გასამრჯელოში უნდა შედიოდეს და არა მათხოვრობით ჩამოკრებილ 5 ათასებისაგან უნდა შესდგებოდეს.

მყოფი.

სახ. განათლების კომისარიატის საუურადღებოთ

საბავშო სახლის ბაღში, რომელიც იმყოფება პლეხანოვის პროსპექტის № 154-ში, მიუხედავათ იმისა, რომ მუაჯარის კარები მუდამ დაკეტილია, დილობით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 8 აგვისტოში. 5 საათიდან 8 საათამდის იმართება დიდების ლხინი, რომელიც გამვლელთა ყურადღებას აშკარათ იპყრობს და მათზედ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამავე პროსპექტზე მყოფ „შრომის სკოლა საკრებულო № 1"-ის მასწავლებელი ქალი ნინა ხუნდაძისა მოსწავლე ბავშვებს პირადათ თავის ბინახედ იმსახურებს. ვინაიდან გაფრთხილებით არაფერი გადის საჭიროა შესაფერი ყურადღება.

ნ. ლეუავა.

გათუმი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ზოგიერთი საკომისარიატოს მოსამსახურები ძალიან გათავხედდნენ. იმათ დაივიწყეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მუმაობენ და ცხოვრობენ. დაივიწყეს და სამაგიეროთ თავიანთ ძველ ხურჯინიდან ისევ ამოალაგეს ჩინოვნიკური სიმშვენიერენი.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ამ მხრივ ერთი საყურადღებო ამბავი მოხდა. აკარისტანის პ. კ. ს. კულტგანყოფილებამ გაგზავნა სახალხო განათლების კომისარიატში თანამშრომელი საკანცელიარო ნივთებია გამოსათხოვნათ. როდესაც თანამშრომელი საქმეთა მართველთან მახარაძესთან მივიდა, მან თანამშრომელს დაუყვირა: გასცილდით აქედან, სადა მაქვს დრო რომ თქვენ გელაპარაკოთო. კულტგანყოფილების თანამშრომელმა უპასუხა, რომ მე აქ სამსახურის საქმეზე ვარ მოსული და მეტი ზრდილობიანი პასუხი მომეცითო. მახარაძემ ხელმეორეთ მოსთხოვა გარეთ გაბრძანება, შემდეგ დარაჯს დაუძახა და მოსთხოვა გაიყვანეო, დარაჯმა რა საკვირველია უარი სთქვა ასეთი მოთხოვნის შესრულებაზე.

სასურველია ასეთი თავხედი ჩინოვნიკებისაგან დროზე გაიწმიდებოდეს დაწესებულებები. აკარის პ. კ. ს. თავის მხრივ მის წინააღმდეგ მიიღო სათანადო ზომები დაადგინა, რომ ის მოხსნილ იქმნას სამუშაოდან და 3 თვით გაძევებული კავშირიდან. მახარაძის თავხედობისათვის ესეც მცირე სასჯელია.

ბათუმელი.

წერილი ჭიათურიდან

(საკუთ. კორესპ.

27 ივლისისათვის მოწვეულ აყო ადგილკომისა და შრომის დაცვის კომისიის ასარჩევათ რატიანის და ქ. კობახიძის ქარხნის მუშების საერთო კრება. ვინაიდან ამ ქარხანას ამ ჟამად რემონტს უკეთებენ და იქ მუშაობა არ სწარმოებს, ამიტომ კრება გადადებულ იქმნა სხვა დროისათვის.

— ზოგიერთ მაღაროში მუშაობს მუშათა უმნიშვნელო რიცხვი 2—3—4 კაცი. მუშების ინტერესები, რომ არ დაიჩაგვრის და ყოველ მხრივ იქნას დაცული, ამისათვის საჭიროა ასეთი მუშები შეუერთდენ ახლო მდებარე ადგილკომს.

ზოგიერთი ქარხანა გაურბის შრომის კანონების შესრულებას. მაგალითად ჯაყელის ქარხანამ არ წარადგინა დამზღვევ კასაში ზღვეულების ფული. ამის გამო შრომის ინსპექტორმა ქარხანა დააჯარიმა 5 მილიონი მანეთით. ზღვეულების ფულის შეუტანლობისათვის დაჯარიმებულ იქნა სხვა და სხვა დაწესებულება 3 მილიონ მანეთით.

— 27 ივლისს ჩაჩანიძეების მაღაროს მუშებში მოხდა ადგილკომის, შრომის დაცვის კომისიის და სასამართლოს არჩევნები პროფ. კავშირის ინსტრუქტორის თანადასწრებით.

იგ-ვე.

სად. ჩაქვი

(საკ. კორესპ.)

ჩაქვის მამულში მომუშავე მუშები ვერ ვართ სახარბიელო მდგომარეობაში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს რომ ჩვენი საცხოვრებელი ბინები ყოვლად მოუყოლებია. ჩვენ ვართ მოთავსებული ჭუჭყიან ვიწრო და პატარა ოთახებში. აქვეა კარგი სახლები კარგი ოთახებით, მაგრამ იქ სხვები ცხოვრობენ. ამბობენ მამულის მართველს მეორე სართულში 9 თუ 11 ოთახი უკავიაო, ყოველ შემთხვევაში ეს კი ვიცით თუ 11 არა 9 ნაკლები კი არაა. ოთახები თვით ჩვენს შორის არ არის კარგათ განაწილებული. ზოგს სამი ოთახი აქვს კარგი და ზემო სართულში და ზოგიერთებს 3—4 ს ერთი ნოტიო ოთახი და ისიც დაბლა სართულში. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და უსამართლობა დროით გამოსწორდებოდეს.

აკაური.

პროვინციაში

სამტრედია.

პურის მოსავალი წელს სამტრედიის რაიონში—საშუალზე მეტი იყო, რამაც დამშეულ ხალხს ცის მანანასავით მოუსწორო და გამოიყვანა საერთო ეკონომიურ კრიზისიდან. სიმინდის მოსავალი, როგორც ეხლა ნიშნებია, კარგი უნდა იქნეს, რადგან შარშან ამ დროის სიმინდები იმარგლებოდა, ეხლა კი ტაროშია—ალაგ-ალაგ ჭყინტი სიმინდებიც არის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ხალხი შედარებით იოლათ გადურჩა იმ შილს. პროვოკატორებსაც ეცლებათ ხელიდან ერთი სადემაგოგიო მასალა და ჩვენ დარწმუნებული ვართ ისინი სამუდამოთ დაკარგავენ გავლენას ფართო მასაში. მხოლოდ აღსანიშნავია ერთი: რომ სოფლის ბობოლა გლეხებმა, შეხედეს რა ღარიბ ხალხის უმწეო მდგომარეობას, აძლევენ სიმინდს თუ ხორბალს, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მოსავალზე ფუთში ორი ფუთი და მეტიც დაებრუნებიათ. თანახმად ცენტრალური მთავრობის მიერ გამოცემულ განკარგულებისა საჭიროა ასეთი მევახშეობის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება.

სამტრედიის ქალაქის აღმასკომი უკვე შეუდგა გზების გაჭრა-შეკეთებას. ერთი თვეა შეუდგნენ მუშაობას, ხალხი ძლიერ გახარებულია და ყველა სიამოვნებით გადის სამუშაოზე...

ავათმყოფობა მთელს რაიონში ძლიერ მოდუნებულია, განსაკუთრებით ციებ-ცხელება, ქალაქის აფთიაქში (საბჭოთა) წამლეულობა ბევრი არ

ბალებით და ნათესებით. აქ იციან დიდი ლობიები წაბლის ხის ხიმეებიდან და შქერიდ ნ (кододендрон) და ამ გარემოებამ მოგვცა აქ ვიბრეთელი ტყეები. წინათ ლობავდენ ეზოებს ვარდა ნათესებსაც და ამაში დიდი შრომა მიუდიოდათ მცხოვრებლებს.

ეს ორი სამი წელიწადია ნათესების (ყანების) ლობვას თავი დაანებეს და საქონელი ზოფჭოლობით დაბმული ყავთ. თუმცა ძლიან ეჭირთ ამ რიგათ საქონლის შენახვა. რამოდენიმე წლის წინათ კურსებლებმა მოინდომეს გზატეცლის გაუჯობესება სოფლში; არ დაზოგეს მიწაწყალი, ზოგმა ეზოც კი ჩამოჭრა და გელათამდის ჩაიყვანეს კარგი გზა.

გელათიდან კი საუცხოვო გზატეცილი აერთებს ქუთაისთან. ახლაც ძალიან მონდომებული არიან და შეიგნეს, რომ მშრომელი გლეხკაცობისათვის სოფლად მისასვლელ-მოსასვლელი გზა ბევრ რამეს ნიშნავს. ზაფხულობით ბეგარით თავის ნებით აუჯობესებენ გზებს. თან ვერ ნახავ გლეხის ოჯახს, რომ ბავში სასწავლებელში არ ყავდეს, რაც უნდა ღარიბი იყოს. აქ შეიგნეს, რომ სასწავლებელი და გზა უპირველეს საქმეებას შეადგენს გლეხი კაცის ცხოვრებაში. კურსებში არის რკინის გზის ბაკანი—შუა სოფელში, და ეს დიდ შეღავათს აძლევს სოფლის მიმოსვლაში. აქვეა პირველ დაწყებითი ბაღალი საეზურის ტეხნიკუმი და მრავალი ბავში სწავლობს. ახალგაზრდა ადგილობრივი მასწავლებლობა ცდილობს დაეხმაროს სოფლელებს და სასწავლებელში შრომის გარდა, მართავენ სახალხო წარმოდგენებს, რასაც მრავალი სოფელი ეწყრება. ამავე სოფელშია ეგრედ წოდებული კურსების გრანიტის ქვა, რასაც დიდი გასაღები აქვს ქალაქების ქუჩების მოსაკირწყლავთ და რკინის გზის საჭიროებისათვის ღღეს ღღეობით აქ ამ ქვაზედ დიდი მუშაობაა გამართული. ასამდის მშრომელი გლეხკაცობა ახვევა და ტეხავს ამ მაგარ ქვას და საოცარ შრომას ეწევიან ამ სიცხე პაპანაქებაში. ამ სიმშილობის დროს სამუშაოს ქონამ კარგი საქმე უქნა კურსებლებს, რომელნიც თავს არ იზოგავენ. ეზო გარემო და ნათესებიც უნდა დაიმუშაონ და ქვის ტეხასაც ასწრობენ. ესინი მზით არიან 16—20 საათი იმუშაონ, ღღე და ღამეში ძალიან ლუკმა ჭამდეს ფასი იშოვონ. ხუთ ამ ღამ ს ამ სამუშაოზე ერთი უბედური შემთხვევა მოხდა: ლაღუმ ვიღარ გაასწრო საცოდავმა ქვის მტეხელმა, წვრილი ცოლშვილის პატრონმა ლ. გიორგაძემ და ამონახეთქი ქვა დაეცა და გარეკანი მოამსხვრია. ავთმყოფი წაიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გარემოებას ამხანაგმა მუშებმა ჯერჯერობით ყურადღება უნდა მიაქციონ, ავადმყოფი და მისი ოჯახი უნდა უზრუნველყონ ნივთიერად და ყოველივე საშველება უნდა იქნეს მიღებული, რომ მომავალში ასეთი უბედური შემთხვევა არ განმეორდეს. აქ ძველ რეჟიმის დროს ამ ქვა სატეხში მოკლა ლაღუმის ქვამ ჯანით სავსე წვრილი ცოლშვილის პატრონი დ. ქირათელიძე. მისი წვრილი ცოლშვილი მშიერ წყურვილე დარჩა და მათი საცოდაობა ქვეყანაც სისხლით შეეთიხნილს კი ატირებდა, მარა იმათ არავინ დახმარებია. მარა ღღეს სხვა დროს მოვესწარით და სრული იმედი გვაქვს სამართლიანობის.

კურსებლებს მწარწყალი არ ყოფნისთ; აქ საზოგადოთ მკირე მიწაა, ვენახები, ღვინო და ხეხილი ძალიან კაგრი იცის, მარა სიმინდი კარგი არ მოდის, რადგან სიმინდს ნოყიერი მიწა უნდა. ამისათვის კურსებლებს სიმინდი მოყავს გარეშე რაიონებში—ოკი ოცდა ათი ვერსის სიშორეზე, წინა ვიღაში ქუთაისს იქეო. ბოლო დროს ბურიაში დაიწყეს სუფსისაკენ სიმინდის თესვა სხვის ალაკებში ნაწილათ, მარა იქიდან ბრუნდებიან ცოტა ცხელებით ავთმყოფები.

კოტე ბერეკაშვილი.

მთავრობის მოქმედნები და განკარგულებანი

დადგენილება № 41.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საკანცელარიო ბაჟის გადიდების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წლ. იანვრის 3 ს თარიღითა და 87 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-2 განყოფილებითა და იმავე იანვრის 31-ს თარიღით და 134 №-ით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებული საკანცელარიო ბაჟი გადიდებულ იქნეს:

ა) 3.000 მანეთიდან—10.000 მანეთამდე, ხოლო ბ) 1.500 მანეთიდან—5.000 მანეთამდე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი. **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 10.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 42.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ციცხლის ხაჭრობი საგნების გადაცემის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ციცხლისაგან დაცვის განყოფილებისათვის.

რესპუბლიკაში ქონებული ციცხლის მჭრობელი ფირმებისა, მაღაზიებისა და მათი ხელისწყოს მაზანშეწონილად განაწილებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკვალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და საწყობის გამგეს, სადაც მოიპოვება ციცხლის მჭრობელი საქონელი—მისი მოწყობილობით და მიმღები და სარწყავი სახელურები,—გადაეცეს, შვიდი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ციცხლისაგან დაცვის განყოფილებას.

შენიშვნა: უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული საგნები უკვე გამართულია შენობაში ციცხლის საწინააღმდეგო მიზნით,—იგი არ გადაეცემა ციცხლისაგან დაცვის განყოფილებას.

2. კერძო პირი, რომელსაც აქვს ციცხლის მჭრობელი საქონელი და სახელური, ვალდებულია, შვიდი დღის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, წარუდგინოს ციცხლისაგან დაცვის განყოფილებას ცნობა—საქონლისა და სახელურების რაოდენობის და ზომის შესახებ—მათი ფასების აღნიშვნით.

შინაგანი დიამეტრით 1—დიუმზე მეტი ციცხლის მჭრობელი სახელურის გადამცემ ღვედებად გამოყენება აკრძალულია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 12.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება № 43.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, აღრიცხვისა და ანგარიშების დებულების ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შემოსავლისა, ხარჯებისა, აღრიცხვისა და ანგარიშის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხ. 73.

შენიშვნა ამ მუხლისა შეიცვალოს ასე:

შენიშვნა 1: ადგილობრივი საბჭოებისათვის გადასაცემ თანხების ვადას და წესს ამტკიცებს ფინანსთა სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

ამავე 73 მუხლს დაერთოს შემდეგ შენიშვნა:

შენიშვნა 2: ადგილობრივი საბჭოებისათვის თანხების გადარიცხვა არ ვრცელდება 1921 წ. პირდაპირ შემოსავალზე, ხოლო არა პირდაპირ შემოსავალზე გავრცელდება 1922 წ. აპრილის 1 დან.

მუხ. 77 შეიცვალოს ასე:

77. ფინანსთა სახალხო კომისარიატი ვალდებულია გაანაწილოს მაზრისა, ქალაქებისა და თემების საბჭოთა შორის ამა დებულების 73 მუხლში აღნიშნული, პირდაპირი გადასახადიდან და საალკოჰო ბაჟებიდან გადარიცხული თანხა პროპორციონალურად, მათი აღრიცხვების მიხედვით; დანარჩენი გადასახადი და ბაჟი კი უნდა შეიტანოს საბჭოთა სალაროში აღრიცხვის ანგარიშით.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის ღღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აგვისტოს 12.

თბილისი-სასახლე.

ПЕРВОЕ-ВАРИАНТИ

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის-პროსპექტზე სასახლის პირდაპირ

სასტუმროში არსებობს

РЕСТОРАНИ

სამზარეულო ევროპიული და აზიური საჭმელებით, კაბინეთებით, ღვინოები ადგილობრივი და საზღვარ-გარეთის. სადილები 50.000 მანეთიდან. ოთახები 150.000 მანეთიდან. ყოველნაირი მოწყობილობა: ვენები, ელექტრონის განათება, საუცხოო სისუფთავე.

(239—1—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქართველოს ეკონომიური განყოფილება

იწვევს 16 აგვისტოსათვის დღის 12 საათზე იმ პირებს, რომელთაც სურთ აიღონ თავის თავზე აჯიკაშულის ყინულის დამზადებელ ქარხნის მექანიკური მოწყობილების შეკეთება. განცხადების მიღება და ცნობების მიწოდება მუშაობს პირობების შესახებ სწარმოებს საქართველოს საციებელი განყოფილებაში. ოთახი № 57.

(138—2—1)

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა საქართველო

21 აგვისტოს იწვევს იმ პირთა, ვისაც სურთ მიაწოდონ რკინის გზას ფანჯრის შინები რაოდენობით 1,5 მილიონი კვადრ. ვერშოკი, სისქით 2—3 მილიმ.

შინების მიწოდების მსურველებმა უნდა წარადგინონ წერილობითი განცხადება, ჩადებული კონვერტში, ფასის ჩვენებით და შინების მიწოდების პირობების აღნიშვნით შემდეგი მისამართით: თბილისი, სამმართველო—ამიერ-კავკასიის რკინის გზების საბეურნეო მატერიალურ ნაწილის (служба) უფროსს.

განცხადებები უნდა ჩაუშვან ხსენებულ ნაწილის კანტორასთან არსებულ ყუთში აღნიშნულ ვადაზე ან გადაუგზავნონ ფოსტით დახურულ კონვერტში ზემოაღნიშნულ მისამართით შემდეგი წარწერით: „21 აგვისტოს კონკურენციისათვის".

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე: 1) ტფილისში: სამეურნეო მატერიალურ ნაწილის მომარაგების განყოფილებაში, 2) ბათუმში ამიერ-კავკასიის რკინის გზების ბათუმის მატერიალურ საწყობის ზედამხედველთან. (146—2—1)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს ორი თვის განმავლობაში ღღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ანტონინა სვერიანის ასულ გოლიკოვას პასუხს მისაცემად მის მეუღლის, ივანე გრიგოლის ძე გოლიკოვის მიერ აღძრულ საჩივარზე განქორწინების შესახებ და აფრთხილებს, რომ თუ ის არ გამოცხადდება საქმე დანიშნული იქნება და გამოიტანება დაუსწრებელი დადგენილება.

(241—1—1) სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე.**

ВИПРОВО სპილენძის ჯიბის პეჩატი ა. ფ. ბაქრაძე. პატრონს შეუძლია მიიკითხოს გაზ. ტრესტის ექსპედიციაში რუსთაველის პროს. № 24. ვას. კვინტარაძესთან. (1—1)

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო მმართველობა ამით აცხადებს,

რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების სამმართველოსაგან მიღებულია ამ ერ კავკასიის ფედერაციის რკინის გზებზე უფასოდ მგზავრობის მოწმობები სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ყველა წევრებისათვის, გარდა იმათისა, ვისაც უკვე აქვთ მიღებული ასეთი ბილეთები სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისაგან.

ვთხოვთ ყველა წევრებს ან თვითონ, ან თავიანთი რწმუნებულების საშუალებით მიიღონ ეს მოწმობები სრულ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის საქმეთა მმართველებაში (სახალხო ოთახი № 6).

(144—4—1)

ქალაქ თბილისის აღმასკომის

გადასასადთა

ბიურო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 17 აგვისტოს, დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგ ობანრებზე:

ობანო აბრამიშვილისა—ვერის დალმართი

ობანო ანანოვის—ფრეიროვის და მალაკანის კ.

ობანო დიგაროვისა—ვარანცოვის ქ.

ობანო კარაჯოვის—ფრეიროვის ქ. № 21.

ობანო ჩითახოვის—კახეთის ქ. № 5.

ობანო ნორსია—19 თებერვლის ქ.

ობანო ბურსაგლოვისა—სოლბარქისის შეს.

ობანო ფენტაზია—ვორონცოვის ქ.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე 50 ოთახი საჯარო მაგიდის გამგეთან. (133—3—1)

ამონაწერი

ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან.

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით კონდიციის ძალით ვერის ბორანის მოჯარადრე გამსვლელთ ახდევინებს 5.000 მანეთს გასვლა გამოსვლაში.

12. მოჯარადრე ვალდებულია გაანთავისუფლოს გადასახადისაგან მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის კაცები.

1) **შენიშვნა:** თუ გამსვლელი არ მოისურვებს უკან დაბრუნებას ერთი დღის განავლობაში გამოსვლის ფული არ უბრუნდება და ის იხდის 5.000 მანეთს ერთ მგზავრობაზე.

2) **შენიშვნა:** ღამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება მოხდება შეთანხმებით, დილის 5 საათამდე.

აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიუროს გამგე

საჯარო მაგიდის გამგე.

(130—6—1)

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებათ და ადმინისტრაციას წარმოუდგინოს მ. ხ მცხოვრების ქ. ტფილისში, პანასევიჩის ქუჩაზე № 11, ბ. 3 მოქ. სერგი სედრაკის ძე ლალიანი თუ კი იცის სად იმყოფება ის ამ ადამ. ნიშნები ლალიანისა: 21 წლის სომეხი, უცოლშვილო.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ურუშაძე.**

(8—3) პასუხისმგებელი მდივანი **ლ. მანჯავიძე.**

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასასადთა ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს 15 აგვისტოს დღის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგი სასტუმროებისა:

„პალასი"	მიმოსვლის ქ.	№ 4.
„ნიკოლოზის ნომრები	ნეკრასოვის „	„ 3.
„აპოლო"	ნიკოლოზის „	„ 16.
„ბერლინი"	მიმოსვლის „	„
„ალექსანდროვის ნომრები"	საპუდრო „	„ 5.
„პალე-როიალი"	სასასლეს „	„ 6.
„დუშეთი"	19 თებერვ. „	„ 89.
„თელავი"	ბახკალის „	„ 4.
„არარატი"	მალაკანის „	„ 14.
„ტეგერანი"	ვორონცოვის „	„ 29.
„ოდესა"	ანდრეევის და სადგურის	კუთხე.
„მეჩეთი"	მეჩეთის „	„ 2.
„შემახა"	19 თებერვ. „	„ 54.
„პარიზი"	თიბის მოედანი	„ 5.
„ადერბეიჯანი"	ვორონცოვის	„ 24.
„კარაბახი"	აბანოს	„ 4.
„ირანი"	ვორონცოვის	„ 37.
„ვარსკვლავი"	ვორონცოვის	„ 37.
„შირაზი"	ბნელი რიგი	„ 24.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახში საჯარო მაგიდის გამგე **მიხ. დარახველიძესთან.**

3—3

განცხადება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხალხო. კომისართა საბჭოს მიერ ამა 20 ივლისის თარიღი № 21 დადგენილება:

1) ყველა უპატრონო და ჩამორთმეული საქონელი, რომელიც იმყოფება სახალხო სამნეო კომისარიატების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა საწყობებში, მაგალითად: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოში, სასათო კომისარიატში, მიწათ-მოქმედების კომისარიატში, ქალაქის აღმასლებულ კომიტეტში და სხვა, შეადგენენ სახელმწიფო ქონებას, და რეალიზაციისათვის უნდა გადაეცეს სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილებას.

2) ყველა თანხები და სავალუტო ფასეულებანი, მიღებული ზენახსენებ საქონლის ფონდის რეალიზაციიდან შედიან სახელმწიფო ხაზინაში და ირიცხებიან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე ანგარიშზედ.

3) ფინანსთა სახალხო კომისარიატს წინადადება ეძლევა სასწრაფოდ გამოჭოს სპეციალური კომისია იმ შემადგენლობით, რომელსაც ის სცნობს საჭიროდ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისრასთან ერთად, რომელიც უკვე მუშაობს ამ დარგში. რათა გამორკვეულ იქნას ღირებულება და რაოდენობა ყველა ამ უპატრონო და ჩამორთმეული საქონლების და მიღებულ იქმნას ასეთი ყველა სახალხო კომისარიატების სამნეო საწყობებიდან, სხვა სახელმწიფო ორგანოებიდან.

4) ამ დადგენილების მიღების ღღიდან, როგორც უპატრონო, ისე ჩამორთმეული ქონებანი და აგრეთვე შემოსავალი სავაჭრო ოპერაციებიდან შედის საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ ფონდში თანახმად მეორე მუხლისა ამავე დადგენილებისა.

ზემოაღნიშნულის გამო საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო ბანკი ამით სთხოვს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, რათა დაუყონებლივ მოაწვდინონ მას ცნობები, თუ რა და რამდენი აქვთ მათ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნული საქონელი და შემდეგში ბანკის გამგეობის უნებართვოდ არავითარი ოპერაცია არ აწარმოონ.

(47—6—4) სახალხო ბანკის **გამგეობა.**

სახელმწიფო გამოცემლობა

თანახმად არსებულ დეკრეტისა ყოველგვარი საზოგადო გამართობებზე პროცენტების გადახდის შესახებ, ქალაქის სასარგებლოდ, აღმასკომის გადასახადთა ბიურომ დაადგინა. ა. წ. 1 აგვისტოდან ყველა გასართობ გადაახდევინონს ბილეთების ღირებულებაზე 5 პროც. გადასახადთა ბიურო სასარგებლოდ.

სახელმწიფო გამომცემლობა თანახმად შეთანხმებისა აღმასკომის საბანასო განყოფილებასთან (6 | 8 № 149) წინადადებას აძლევს ყველა კლუბებს, თეატრებს, კინოებს, ყირკეებს პირებს და დაწესებულებებს, რომელნიც აწყობენ სპექტაკლებს, სალამოებს, კაბარეს და სხვა გასართობებს ბილეთების ნიგნაკები წარადგინონ რეგისტრაციისათვის სახელმწიფო გამომცემლობაში ლორისმელიქოვის ქ. № 5. ბილეთებზე იქნება დასმული სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭედი ურომლისოთაც ბილეთები ჩაითვლება გაყალბებულად ( ) დადგენილების დამრღვევნი კი მიცემული იქნებიან სამართალში და დაკარგავენ უფლებას ზემოაღნიშნულ გასართობების მოწყობაზე. ყოველგვარ ცნობების და განმარტების მიღებისათვის უნდა მიმართონ სახელმწიფო გამომცემლობის გამგეს. (ლორისმელიქოვის ქ. № 5.)

(5—5)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერა ფასი ძველია, ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მოვალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება.

(0—20)

ელექტროენის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიზეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორლანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—12)

ბინით სარგებლობის კანონი

გამოცემულია ცალკე ბროშურებათ და ამ დღეებში გაიყიდება ყველა უკანასკნელი, ამ ჟამად მომქმედი დეკრეტები და დადგენილებანი ბინათ სარგებლობის შესახებ, აგრეთვე დადგენილება

კომუნალურ სამსახურზე.

ქირის შემოღების შესახებ.

ბინით სარგებლობის კანონი გაიყიდება გაზეთის ტრესტის კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24). და ყველა გაზეთის გამყიდველებთან.

თითო ეკზემპლარი ღირებულება 20 ათასი მანეთი

(0—12)

თბილისის ქალაქის აღმასკომის მიწად-მოქმედების

განყოფილება

უკანასკნელად აცნობებს ყველა სახლის პატრონებს, რომ რეგისტრაციაში გასატარებლად სახლების საანკეტო ფურცლების გაყიდვის ვადა გაგრძელებულია 12 აგვისტომდე, საანკეტო ფურცელი ღირს 100.000 მან. იმ შემთხვევაში თუ სახლის პატრონი არ გამოცხადდა რეგისტრაციაზე

12 აგვისტომდე.

საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 500.000 მანეთამდე.

(7—7)